პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მეზღ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია
ტფილისი, [illegible]
№ 4. მე-3 სართული

[illegible] 2-დან 3 საათამდე

ტელეფონები: რედაქტორის 14—26. მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

[illegible] 450.000 მ. განცხადება 10 [illegible]
[illegible] სტრიქონი. [illegible]
განცხადება 3 მ.

№ 106 შაბათი 12 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 106

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

გერმანიის რეიხსტაგში რამდენიმე სხდომით [illegible] დეპუტატი—კომუნისტები, რომლებიც პოლიციის [illegible] იყვანეს პარლამენტიდან.

ხტინესის პრესა მხარს უჭერს კუნოს მთავრობას, რომლის მდგომარეობა ეხლა განმტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

პოლონეთში მძვინვარებს მრეწველობის კრიზისი.

ფინეთში ვრცელდება ნავთსადგურის მომუშავეთა გაფიცვა.

ბრიტანეთის მთავრობამ მემორანდუმით მიმართა საბჭოთა რუსეთს

საქართველოს პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. ზაზტრისტი), რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფ. № 5—43.

15 მაისიდან გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

საერთო ხელის მოწერა თვიურათ	1.000.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	750.000
ერთი ეგზემპლიარი	40.000

კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 20 მაისამდის შემოიტანონ განსხვავება მაისის მეორე ნახევრის. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების მიწოდება შეწყვეტილი იქნება.

4—1

დღეს, 12 მაისს, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი)

ექიმი აბაკელია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე:

„ტუბერკულიოზი და მასთან ბრძოლა"

მოხსენების დროს ნაჩვენები იქნება ბუნდოვანი სურათები.

შესვლა ყველასათვის უფასოა.

შანტაჟი

ჩვენ გაზეთში იბეჭდება დღეს ინგლისის მთავრობის მემორანდუმი, რომელიც გადასცა მისმა წარმომადგენელმა მოსკოვში საბჭოთა მთავრობას. მემორანდუმში წამოყენებულია ათასი და ერთი ბრალდება მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგ და გამოხატულია ერთნაირი მუქარა.

ინგლისში, სახელდობრ მის ზოგიერთ ფინანსიურ და სამრეწველო წრეებში რომ გარკვეული უკმაყოფილებაა საბჭოთა რუსეთით ეს ცხადია. ამ უკმაყოფილების გაღვივებას ხელი შეუწყო თავის მხრივ ცნობილ ურკარტმა და კომპანიამ მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა არ დასთანხმდა მისი კონცესიის რატიფიკაციაზე. უკმაყოფილოთა წრე შემოიფარგლება ამნაირით იმ ვიწრო ჯგუფებით, რომლებიც წურბელასავით აზიან თვით ინგლისის ხალხს, სისხლს სწოვენ უზარმაზარ კოლონიებს. მაგრამ არიან ჯგუფები ინგლისში, რომლებიც დაჟინებით მხარს უჭერენ არსებულ სავაჭრო ხელშეკრულებას რუსეთთან და კმაყოფილი არიან მასთან საქმიანი დამოკიდებულებისა. ზედმეტია ლაპარაკი მშრომელთა ფართო მასებზე, რომლებიც ერთსულოვნებით გამოდიან დღეს—როგორც ტელეგრამებიდანაც სჩანს—ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ, ჰგმობენ მის ავანტიურისტულ ნაბიჯებს. ურკარტის კომპანია ეჯახება ამნაირათ არა მარტო მთელი ინგლისის პროლეტარიატის ერთსულოვნებას, არამედ იმ მქონებელი წრეების მისწრაფებასაც, რომლებიც გადაჭრით მომხრე არიან რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გაგრძელებისა და გაღრმავების.

როგორი შეიძლება იქნეს შედეგი ნოტის? ინგლისის მდგომარეობა ევროპაში და ურთიერთობა საზოგადოებრივ ძალთა შორის შიგნი არავითარ საბუთს არ იძლევა რაიმე ენერგიული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობისას მისი მხრივ. არა მარტო ის გარემოება, რომ კონსერვატიული მთავრობა თავამდი ჩაფლულია დღეს ევროპის ჭაობში და ხელი დატვირთული აქვს სხვა საქმეებით, არამედ ინგლისის მუშათა კლასის და თვით ბურჟუაზიის ზოგი წრეების აშკარა ოპოზიციაც, შეუძლებელს ხდის რაიმე აგრესიული ზომების მიღებას. თუ, მიუხედავათ ამისა, ლონდონი ლაპარაკობს დღეს „რიხიანათ", ეს განზრახულია გარკვეულ ეფექტზე, რომლის შედეგი უნდა იყოს არსებითად ურკარტისა და მის მსგავსთა ერთნაირი დაკმაყოფილება საბჭოთა მთავრობის მხრივ. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სარწმუნოების საკითხი, ანაფორაში გამოხვეული ჯაშუშების დაცვა და ინგლისის [illegible] მეთევზეების ბედ-იღბალი მხოლოთ იმდენათ აინტერესებს ლორდ კერზონს, რამდენადაც ის უბრალო საბაბს აძლევს მას აზმაურებისას, რომლის მიზანს შეადგენს მხოლოთ ზოგიერთ ფინანსიურ-სამრეწველო წრეების დაკმაყოფილება.

თავის თავათ ცხადია, რომ როგორც ფედერაციის, ისე ინგლისისა და მთელი ქვეყნის მუშები საკადრისათ შეაფასებენ ამ შანტაჟს და დამსახურებულ პასუხს მისცემენ ინგლისის მემორანდუმზე.

პირველი დიდი შედეგი ინგლისის მთავრობის ამ გამოსვლის იქნება ერთიანი ფრონტის შექმნა იქ, სადაც ის ჯერ კიდევ არ არის და განმტკიცება მისი, სადაც ის უკვე მოქმედებს. ამის დამადასტურებელი ცნობები უკვე მოდის ინგლისიდან და კიდევ უფრო მეტს მივიღებთ.

ფედერაციის მშრომელი მასები კი ზიზღით შეხვდებიან ბურჟუაზიული მთავრობის ახალ შანტაჟისტურ მუქარას და განაგრძობენ „მაგარ ფიქრს" თავის რიგების განმტკიცებაზე, მუშაობას ამ განმტკიცებისათვის.

12, 13 და 14 მაისი—ჭლექის სამდღეული.

გაიღე წვლილი ამ სამ დღეს და შენ ხელს შეუწყობ სიცოცხლის შენარჩუნებაში ბავშვს, მშრომელს; სხვისი დახმარებით—შენ თავს დაეხმარები.

ნუ ჩამორჩები სხვებს, დაეხმარე რითაც შეგიძლია, ფულით, ნატურა, შრომით, მასალებით, ყველაფერი საჭიროა, ყველაფრის მოთხოვნილებაა.

სამომხმარებლო კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაცია სავალდებულო დაწესებულებაა საბჭოთა რესპუბლიკებში. ამით იგი განსხვავდება ბურჟუაზიული ქვეყნების ასეთივე კოოპერაციიდან. რაშია ეს განსხვავება და ვის სასარგებლოთაა იგი?

კოოპერატორი და საერთოთ ყველა, ვინც კოოპერატიულ ასპარეზზე მოღვაწეობს, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, მუდამ ისახავს ისეთი მდგომარეობის მიღწევას, რომ კოოპერაციის გარეთ არ დარჩეს არც ერთი მშრომელი, რომ მან თავი მოუყაროს ქალაქის და სოფლის მთელ მშრომელ ხალხს. ამ მდგომარეობის შექმნა ბურჟუაზიულ რეჟიმში ოცნებათ რჩება, ხოლო საბჭოთა რეჟიმში იგი კანონათ და ფაქტად იქცევა. კოოპერატორს აქ თვით მთავრობა ეხმარება მის მისწრაფებაში და ერთი დაკვრით ხელსა აძლევს ათ-წლობით სამუშავო საკითხის გადაწყვეტას. მშრომელ ხალხს თვით მთავრობა უხდის სავალდებულოთ თავი მოარიდოს ჩარჩ-ვაჭრებს და შექმნას საკუთარი კლასობრივ-ხალხური აპარატი თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაშასადამე, ვის სასარგებლოთაა ზემო-აღნიშნული განსხვავება? რა თქმა უნდა საბჭოთა რეჟიმის კოოპერაცია ხელსაყრელათ განსხვავდება ბურჟუაზიული რეჟიმის კოოპერაციიდან.

შემდეგ კოოპერატიული მშენებლობის დროს ხშირათ ერთი კოოპერატივი მეორეს მეტოქეთ ხდება, ერთ და იმავე სამოქმედო რაიონში ხშირათ ორი და სამი მოქიშპე კოოპერატივი არსდება და მით ძირი ეთხრება თვით კოოპერატივის იდეას. ამ მოვლენის წინააღმდეგ დაუღალავათ იბრძოდენ ყველა კოოპერატორები. მაგრამ კუთხური შინ-ჩხუბობა და ამაზე აგებული წვრილმანი შუღლი და განხეთქილება ხშირათ უნაყოფოთ ხდიდა კოოპერატორთა ხსენებულ სალ მიდრეკილებას.

როგორ არის საქმე საბჭოთა რეჟიმის დროს. აქ დაკანონებულია მთელი ქვეყნის კოოპერატიული ქსელით მოფენა, რომ არც ერთი კუთხე არ დარჩეს უკოოპერატივოთ და ეს ისეთი სისტემით სწარმოებს, რომ ზედმეტი და მოქიშპე კოოპერატივთა არსებობა შეუძლებელი ხდება. ცხადია, საბჭოთა რეჟიმში კოოპერაცია ამ მხრითაც მოგებული რჩება, ის უზრუნველყოფილია დამასუსტებელ შინაური შუღლისა და განხეთქილებისაგან.

ამ ქსელის შექმნა საბჭოთა საქართველოში მინიჭებული აქვს თვით კოოპერაციას მისი ცენტრალური აპარატის (ცეკავშირის) სახით. ცეკავშირმა უკვე გამოიმუშავა ეს ქსელი და მიმდინარე კოოპერატიული კამპანია მიზნად ისახავს მის ცხოვრებაში გატარებას.

ყოველ რაიონში, რომელიც ეკონომიურათ საკმაოთ ძლიერია, რომ კოოპერატიული სავაჭრო დაწესებულების არსებობა გაამართლოს, არსდება ერთი კოოპერატივი—მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება „ეპო" (Единое Потребительское Об-во), რომელსაც ყავს თავისი არჩეული გამგეობა, აქვს თავისი საბრუნავი თანხა წევრთაგან შემოტანილი საწევრო გადასახადის სახით და ეწევა სამეურნეო საქმიანობას.

„ეპო"-ს უმთავრესი ფუნქცია—ეს საქონლის მიწოდებაა თავის წევრებისათვის. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი მისი ფუნქცია: ის მოწოდებულია თავის წევრთა ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა კოოპერატიულ კალაპოტში ჩააყენოს და ამ მიზნით ის თვით იწვევს წევრებს შექმნან ნებაყოფლობით საწარმოვო კოოპერატივები წარმოების სხვა და სხვა დარგის მიხედვით.

მაგრამ ჯერ სანამ არ შექმნილა და არ მოთავებულა „ეპო"-ს ქსელი, ძალაში რჩება ძველი კოოპერატივები და მათი სარაიონო კავშირები, რომლებიც საბოლოოთ ერთდებიან ცეკავშირში. სარაიონო კავშირების ადგილს დაიჭერენ „ეპოები", რომლებიც უშუალოთ იქნებიან გაერთიანებული ცენტრალურ კავშირში (ცეკავშირში)

რატომ იქცევს ასეთ დიდ ყურადღებას სამომხმარებლო კოოპერაცია?

წარმოება და მოხმარება ორი განუყრელი ელემენტია ერთი და იმავე სამეურნეო საქმიანობისა. წარმოების სფეროდან დამზადებული საქონლის მოხმარების სფეროში გადატანა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ამას ბურჟუაზიულ რეჟიმში კერძო ვაჭრული აპარატი ასრულებდა. მაგრამ ვაჭართა კლასი, როგორც ექსპლოატატორული კლასი, საბჭოთა რეჟიმში არანორმალური მოვლენაა. ის არსებობს კიდევ იმდენად, რამდენადაც საბჭოთა სამეურნეო ორგანოებს ჯერ-ჯერობით ვერ მოუხერხებიათ უმისოდ იოლად წასვლა, რამდენადაც მათ ვერ გაუბამთ პირდაპირი კავშირი მომხმარებლებთან.

მაგრამ ამ კავშირის გაბმა დღიურ საკითხად დგას და ეს უნდა მოხდეს კოოპერაციის საშუალებით, რადგან კოოპერაცია წარმოადგენს თვით ხალხის ორგანიზაციას, საიდანაც განდევნილია ჩარჩ-ვაჭრული სული.

კოოპერაციამ და სამეურნეო ორგანოებმა მტკიცეთ უნდა შეითვისონ ეს სადა ჭეშმარიტება და ეცადონ ერთი მეორის გამაგრებას. მათ უნდა განდევნონ თავისი მოქმედების ასპარეზიდან ვაჭრული ელემენტი და მაშინ მიაღწევენ სამეურნეო მშენებლობის სალ საფუძვლებს. ამ მშენებლობის მნიშვნელოვანი მხარეა კოოპერაციის გამაგრება და ეს უნდა განხორციელდეს ახლო-მომავალში.

მ. ტოროშელიძე.

ყოველ წელს დიდძალ მსხვერპლს იწირავს ეს საშინელი სენი.

ბავშვთა საყოველთაო გაჯანსაღება სახელმწიფოს და საზოგადოების ისეთივე მოვალეობა არის, როგორც საყოველთაო სწავლა.

ჭლექის დაძლევა შეიძლება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ბრძოლით; უნდა დავიცვათ მშრომელთა ჯანმრთელობა.

სავალიუტო ვაქხანალია*)

ახალმა პოლიტიკამ საგარეო ვაჭრობის სფეროში, პოლიტიკამ, რომელიც მიზნათ ისახავს საბჭოთა რესპუბლიკების საწარმოო ძალთა ამაღლებას და განვითარებას, უფრო მჭიდროდ დააკავშირა ეკონომიურად ამიერ-კავკასია რუსეთის ბაზარს. როდესაც უცხოეთიდან ბათომით თავისუფლათ შემოდიოდა საქონელი, სავაჭრო ურთიერთობა მასთან გვაიძულებდა ჩვენ ანგარიში გაგვეწია უცხოეთის ვალიუტისთვის.

ლირა წარმოადგენდა ისეთს ძირითადს ფულს, რომლის ცვალებადობაც იწვევდა პირველ საჭიროების საგნების ფასების აწევას, ან დაწევას.

ამ ჟამად მდგომარეობა დიდად შეცვლილია. ამიერ-კავკასიას თითქმის განსაკუთრებით ის საქონელი ასაზრდოებს, რომელიც ჩვენში რუსეთიდან მოდის. ჩვენს ნედლეულს უმთავრესად იგივე რუსეთი ხმარობს, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ლირებმა ჩვენთვის წინანდელი მნიშვნელობა დაჰკარგეს, რის მიზეზითაც ახლა სხვა ვალიუტაზე გადავედით.

ასეთი გადასვლის პრაქტიკულად განმახორციელებელი ორგანო იყო—სახელმწიფო ბანკი, რომელიც დაემყარა ოქროს ათ-მანეთიანს; უფრო მეტიც, თვითონ მან დაიწყო ამ ათ-მანეთიანების ყიდვა და გაყიდვა და მით კურსის დაწესება და სხვა.

ამ პოლიტიკის განხორციელების პროცესში გამოირკვა, რომ ოქროს ათ მანეთიანი სრულიადაც არ წარმოადგენს ისეთს მუდმივს საზომს, რომელზედაც ჩვენ უნდა გვმართებდეს დამყარება. ოქროს ათ-მანეთიანის მოსკოვის კურსი ტფილისის კურსისაგან განსხვავდება; იმ დროს, როდესაც მოსკოვი თავის პოლიტიკას ჰქმნის მსოფლიო საბაზრო პირობების მიხედვით და მის კვალად იცვლის ძირითად თვალსაზრისს ამიერ-კავკასია თავის იმედებს კვლავ ამყარებს ოქროს ათ-მანეთიანზე, რომლის ფასიც დღითი-დღე მაღლა იწევს.

ოქროს ათ-მანეთიანის ღირებულების ზრდა იწვევს ყველა საქონლის ფასის აწევას, ამას მოსდევს სამუშაო ხელფასის გადიდება, რაიც ჩვენის საგადასახადო აპარატის მოუწყობლობის გამო იწვევს ემისიის გადიდებას.

რამდენადაც მეტია ქაღალდის ფული, იმდენად ისინი უფრო ჰკარგავენ თავის ღირებულებას.

იქმნება მოჯადოვებული წრე, საიდანაც თითქოს გამოსავალი არ არის.

თავისთავად ცხადია, ჩვენს ეკონომიურს პირობებში არ შეგვიძლიან საბოლოოდ გავაჯანსაღოთ საფინანსო ატმოსფერა და დავამყაროთ ნორმალური მდგომარეობა. ამას ჩვენ მივაღწევთ სამოქალაქო ომის მიზეზით დანგრეულ ჩვენში მეურნეობის აღდგენის გზით და სხვა. ამის მიუხედავად ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ არ არის საჭირო შესაფერი ზომების მიღება შესაძლებლობის სფეროში და თუ ეს ასეა, ეს ზომები მიღებულ უნდა იქნეს.

საქმე იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც უკვე ვთქვი, ამიერ-კავკასია წარმოადგენს ეკონომიურ ერთეულს რუსეთთან ერთად. ყოველგვარს ჩვენს სამეურნეო საქმეს უეჭველად კვალს აჩნევს რუსეთში არსებული პირობები. დაწესებულია გარკვეული კონტაქტი, რომელიც ბეჭედს ასვამს ყოველგვარს ჩვენს ურთიერთობას. ამასთან ერთად არსებობს განსხვავებაც საფინანსო პოლიტიკის სფეროში მთელ რიგ ძირითად საკითხთა გამო. მე, რასაკვირველია, არას ვამბობ სხვა და სხვა გვარ ფულის ნიშნების შესახებ, ვინაიდან ამას ბოლოს და ბოლოს არავითარი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.

მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსეთში ათ-მანეთიანი იდევნება ხმარებიდან და სხვა და სხვა სავაჭრო საქმის დროს ოქროს ათ-მანეთიანი კი არ ედება საფუძვლად, არამედ ვერცხლის ფული; ჩვენ მივსდევთ ოქროს ათ-მანეთიანს და მით ხელს უწყობთ ოქროზე სპეკულიაციის განვითარებას, რომელსაც გადახდის საუკეთესო საშუალებად ვთვლით. რუსეთში ამის წინააღმდეგ იბრძვიან. ოქროს ათ-მანეთიანის კურსის აწევა მთელს არევ-დარევას იწვევს ჩვენში ეკონომიკის სფეროში. რუსეთში ეს არ არის.

აქედან ცხადია, რომ ჩვენც, რომელთაც გვაქვს მჭიდრო ეკონომიური კავშირი რუსეთთან, გვმართებს, რომ ათ-მანეთიანებიდან ვერცხლის ფულზე გადავიდეთ.

ჩვენ შეგვიძლიან გვითხრან, რომ ეკონომიკაში არსებობს კანონი, რომლითაც ქაღალდის ფულის ღირებულება ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულია იმ მტკიცე ვალიუტაზე, რომელზედაც ემყარება, ან იმ ვალიუტაზე, რომლის მაგიერობასაც ის სწევს.

ეს, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვერცხლის ფულიც თავის მხრითაც ემყარება მტკიცე ვალიუტას; ის ხომ ქაღალდს არ წარმოადგენს, რომელსაც მტკიცე საფუძველი არა აქვს.

როგორს დამოკიდებულებაშიც არ უნდა იყოს რუსეთი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, რომლებიც პოლიტიკას ჰქმნიან მსოფლიო მასშტაბით, იგი მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს საერთო მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე და იმის მიხედვით შექმნას საკუთარი პოლიტიკა.

უამისოდ შედეგები ისეთივე იქნება, როგორიც ჩვენში, სადაც ცხოვრება ბევრად ძვირია, ვიდრე მოსკოვში. რახან ეს ასეა მაშინ ცენტრმა თავისი ფინანსიური პოლიტიკა უნდა შექმნას მსოფლიო ბაზრის მიხედვით და საფუძვლად უნდა აიღოს ის ვალიუტა, რომელსაც მსოფლიო ღირებულება აქვს. ასეთ ვალიუტას წარმოადგენს ნიკოლოზის ათ-მანეთიანი კი არა, არამედ ოქრო, რომელიც განსაზღვრავს ვერცხლის ღირებულებას.

აი ამისათვის მომენტის მიერ არის გამოწვეული ვერცხლზე გადასვლა.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომლითაც საჭიროა დავემყაროთ მსოფლიო ვალიუტას. თუ ჩვენ ოქროს ათ-მანეთიანს გამოვუდგებით, ეს ხომ ამ ათ-მანეთიანის გაქრობას იწვევს. სპეკულიანტები ყველა თავის საქონელს ოქროს მანეთის კურსის მიხედვით აფასებენ. ყველა ეს თავის მხრით გავლენას ახდენს პროვინციაში ფასების აწევაზე, სასოფლო მეურნეობა ძალა უნებურად ებმება სპეკულიაციის ქსელში, იქმნება ისეთი პირობები, როდესაც ყოვლად შეუძლებელი ხდება ექსპორტის მოწესრიგება, ვინაიდან არა ერთს ორგანიზაციას არ აქვს სტიმული იმისა, რომ საზღვარგარედ გაიტანოს ადგილობრივად ნაწარმოები საქონელი. ჩვენი ნედლეული საბჭოთა რესპუბლიკების გარედ შეფასებული იქნება უცხოეთის ვალიუტის კურსით, რომელიც ოქროს ათ-მანეთიანზე უფრო იაფია. აქედან უდიდესი ზარალია, რასაც უდიდესი ყურადღებაც უნდა მიექცეს ჩვენის მხრით განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც საკითხი ექსპორტის შესახებ მეტად მნიშვნელოვანს საკითხს წარმოადგენს ჩვენი საბჭოთა ქვეყნების გადახდის უნარიანობის აღდგენაში, იმ ქვეყნების რომელთა მოსახლეობას უმთავრესად გლეხობა შეადგენს.

ამ რიგად ოქროს მანეთიანის განდევნას და ვერცხლის ფულის შემოღებას აუცილებელი საჭიროება იწვევს.

მაგრამ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს?

აი საკითხი, რომლის გადაჭრაც დამოკიდებულია მთელ რიგ ზომებზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული.

უწინარეს ყოვლისა თვით სახელმწიფო ბანკი უნდა გადავიდეს ვერცხლის ფულზე და შესწყვიტოს ოქროს ყიდვა-გაყიდვა. დღემდე ჩვენ ვქმნით ისეთ პოლიტიკას, რომლითაც სხვა და სხვა სამეურნეო ორგანოებს უკრძალავთ ოქროს აღებას საფასურის გადახდის საშუალებად. ამ აკრძალვამ რასაკვირველია ვერავითარი ნაყოფი გამოიღო, ვინაიდან მთელი ეკონომიური ცხოვრება ჩაბმული აღმოჩნდა ოქროს ათ-მანეთიანზე სპეკულიაციის სფეროში. კერძო ვაჭრობას უმთავრესი როლი აქვს დათმობილი. როდესაც ასეთს პირობებში სახელმწიფო ბანკი ოქროთი ვაჭრობს, აწესებს კურსს, სპეკულიანტებს უფლებას აძლევს, მისგან ოქროს ათ-მანეთიანები შეიძინონ,—ეს ნიშნავს კერძო ვაჭრობის უფრო ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებას, ვიდრე სახელმწიფოებრივის და კოოპერატიულისა.

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ფასი დღითი დღე ეცემა, ხოლო ოქროს ათ-მანეთიანი, რომელსაც ემყარება სახელმწიფო ბანკი და რომლის კურსიც ყოველ დღე მაღლა იწევს, სპეკულიანტების ხელში გადადის. მუშაობის ასეთ სისტემის დროს სახელმწიფოებრივს ორგანოებს უხდებათ ან კვალ და კვალ მისდიონ ცხოვრებას და ან სულ შესწყვიტონ მუშაობა. სახელმწიფოებრივ კაპიტალის ძალა ისუსტება.

ერთის მხრით სახელმწიფო თავის ორგანოებს (სამეურნეო ორგანოებს) უკრძალავს ანგარიში გაუწიონ ოქროს ათ-მანეთიანის კურსს, მეორე მხრით იგი სახელმწიფო ბანკის სახით კვლავ ემყარება ათ-მანეთიანს, აწესებს ოფიციალურ კურსს, ყიდულობს და ყიდის კერძო პირებზე. აი ასეთია უკანასკნელ დღეების სურათი.

მარტო ქალაქის მოსახლეობა, ვაჭრები და სპეკულიანტები კი არა, სოფლის მოსახლეობაც იწამლება, მისდევს ოქროს ათ-მანეთიანს და თავის შრომის პროდუქტების შეფასების დროს ხელმძღვანელობს ოქროს კურსით. ყველას თვალები მიპყრობილია სახელმწიფო ბანკზე, რომელიც აწესებს ამ ოქროს კურსს.

ასეთს გარემოებაში შესაძლებელი ველარ ხდება სავალიუტო ატმოსფეროს გაჯანსაღება.

აქედან ცხადია, რომ ოქროს ათმანეთიანი ხმარებიდან განდევნილი უნდა იყოს. ეს შეუდრეკელად უნდა განახორციელონ არა მარტო სახელმწიფოებრივმა ორგანოებმა, არამედ უმთავრესად სახელმწიფოს საფინანსო აპარატმა. ყველა ამათ თავისი პოლიტიკა უნდა ააშენონ ვერცხლის ფულზე და მას საფუძვლად უნდა დაედოს ღირებულება მტკიცე ვალიუტისა, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) სადისკუსიო.

ლოთობა შლის ჯანმრთელობას და ჭლექით დასნეულებას ხელს უწყობს.

ლოთის ორგანიზმი ვერ უძლებს ჭლექს.

ბავშვები ჭლექიდან ადვილად იხოცებიან.

მარქსისტული ლიტერატურის საჭიროება ქართულ ენაზე

ჩვენ მოგვეპოვება ქართულ ენაზე ბევრი ორიგინალური წმინდა მარქსისტული შრომები სხვადასხვა საჭირბოროტო კითხვებზე (როგორიცაა, მაგალითად, პოლიტიკურ-ეკონომიური კითხვები, დიალექტიური მატერიალიზმი, და ეროვნული საკითხი). ამ შრომებზე აღიზარდა ჩვენი კომუნისტური გვარდია და მათი საშუალებით ეზიარა მარქსისტულ მოძღვრებას.

დღეს ჩვენ გვყავს ბევრი ისეთი ახალგაზრდა ამხანაგები, რომლებიც შეიძლება დიდი ნიჭიერი და თავდადებული რევოლიუციონერები იყვნენ, სუბიექტიურათ შეიძლება საუკეთესო გულწრფელი მარქსისტები იყვნენ, მაგრამ ობექტიურათ კი შეიძლება საკმაო მარქსისტული მომზადება არ ქონდეთ, ორთოდოქსალურ მარქსისტულათ აღზრდისა და პოლიტიკურათ მომზადების მხრივ შეიძლება ბევრი რამ აკლდეთ.

ამიტომაც იყო, რომ რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12-ე ყრილობის რეზოლიუცია ეროვნული საკითხის შესახებ აღნიშნავს ამას და საჭიროთ თვლის მშობლიურ ენაზე განვითარებულ იქნეს, პრინციპიალური მარქსისტული ლიტერატურა. გამოცემულ უნდა იქნეს, როგორც ნათარგმნი ლიტერატურა, განსაკუთრებით პროლეტარიატის მოძღვრების კლასიკებისა, ისე კიდევ უფრო მეტად ორიგინალურიც, რომელიც საკმაოთ მოგვეპოვება ჩვენ, და რომელზედაც აღიზარდა თითქმის მთელი საქართველოს კომუნისტური პარტია.

როგორც ზემოთ ვსთქვით ქართულ მარქსიზმის ისტორია იწყება ოთხმოცდაათიან წლებიდან. და აქედან მოყოლებული დღევანდლამდე არ გადმოთარგმნილა და გამოცემულა ქართულ ენაზე, გამოჩენილ მარქსისტების კაპიტალური შრომები. ძალიან სავალალოა და კიდევ უფრო მეტად სასირცხო, რომ საქართველოს მოწინავე რევოლიუციონერ მუშებს, რომლებიც ამდენი წლების განმავლობაში თავს იყრიდენ და კავშირდებოდენ პოლიტიკურ პარტიათ მეცნიერულ კომუნიზმის დროშის ქვეშ და ამ უკანასკნელათ მოიპოვეს სახელმწიფო ხელისუფლება, არ აქვთ თავის მშობლიურ ენაზე პროლეტარიატის კომუნისტური სახარება: „კაპიტალი" ეს კიდევ უფრო მეტ ნაკლათ უნდა ჩაითვალოს დღეს, ვინაიდან უკვე მესამე წელიწადია არსებობს საქართველოში მუშების ხელისუფლება და ყველაფერი მათ ხელშია. ქართული მარქსიზმი ღირსია (მან ეს დაიმსახურა) ქონდეს ქართულ ენაზე მარქსისტული კლასიკების მთავარი შრომები, რათა კიდევ უფრო მეტად განვითარდეს ის და დაამარცხოს ყოველგვარი სხვა მეცნიერება. მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო ნათარგმნი ლიტერატურა, არამედ ორიგინალურიც, რომელიც პოპულარიზაციას უწევს მეცნიერულ კომუნიზმს. ეს კიდევ უფრო მეტად საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის საკმაოთ მომზადებისათვის მარქსიზმის ძირიანათ და საფუძვლიანათ შესწავლისათვის. ეს ძალიან ადვილდება მით, რომ ასეთი ორიგინალური მარქსისტული ლიტერატურა ჩვენ საკმაოთ მოგვეპოვება. (მაგალითად ფილიპე მახარაძისა და საშა წულუკიძის შრომები, რომლებიც მეტის მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო უნდა იყოს ჩვენთვის). საჭიროა მათი გამოცემა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა გადასდგამს სათანადო ნაბიჯებს და გამოსცემს ქართულ ენაზე მარქსისტულ ლიტერატურას, როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურსაც

ქ. კომუნაძე.

ჭლექი—სოციალური სნეულება, ვინაიდან დამოკიდებულია ხალხის სიღატაკეზე, სიბნელეზე, დიდ შრომაზე და სხვა სოციალურ მიზეზებზე.

ყოველ ჩვენგანს შეუძლია დასნეულდეს ჭლექით: ამისათვის ყველამ უნდა გაიღოს დახმარება ჭლექით დასნეულებულთა სასარგებლოდ, ბავშვთა და მოზრდილთა დასაცავად ამ საერთო მტრისგან.

ჭლექი განსაკუთრებით მუსრს ავლებს მუშებს და გლეხებს. ყველა მუშებმა და გლეხებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სალამი წითელი არმიის კულტურულ შეფს—განათლების მუშაკთა კავშირს

საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირი თავის თავზე იღებს კულტურულ შეფობას კავკასიის ცალკე არმიაზე. ეს უდიდესი აქტია წითელი არმიის მშენებლობის საქმეში. მიმდინარე მომენტი მოითხოვს წითელი არმიის გაძლიერებულ მომზადებას. მსოფლიო კაპიტალის შეტევა გრძელდება და თუ ის განვითარდა ასეთივე ტემპით ლოლიკური აუცილებლობა იქნება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირზე, საერთაშორისო პროლეტარიატის ამ ავანგარდზე თავდასხმა.

ჩვენი ახლო მეზობლები სამხედრო სამზადისში არიან. პოლონეთმა ჩაატარა მობილიზაცია ვითომდა სამხედრო სწავლების მიზნით. პოლონეთმა მოიწვია სისხლში დასვრილი მარშალი ფოში.

ამიტომ საკითხს წითელი არმიის მზადყოფნის შესახებ პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობის ხასიათი აქვს.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს მზად ყოფნა.

წითელ არმიელების პოლიტიკური შეგნება თავდებია იმის, რომ არმია შეუდრეკლად მოკიდებს ხელს იარაღს.

მაგრამ წარმატებით ბრძოლა ბევრს მოითხოვს არმიისაგან. შესვენების პერიოდი ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ სამხედრო სწავლებისათვის. პროლეტარულმა მზრუნველობამ—წითელმა შეფობამ—დახმარება გაგვიწია ისეთი პირობების შექმნაში, რომელშიაც ამ სწავლებამ საჭირო შედეგები მოგვცა. გაუმჯობესებულია წითელ არმიელის ყოფა-ცხოვრება, არსებობის პირობები. შეფებმა თავისი წვლილი შეიტანეს არმიის სამხედრო ძლევამოსილობის გაძლიერების საქმეში, პროლეტარიატი დაეხმარა წითელ არმიას მომზადებაში, მაგრამ ომის სერიოზული პირობები მოითხოვენ არა მარტო სამხედრო საქმის ცოდნას. მოიგონეთ თქმა, რომ სადოვისთან და სედანთან გაიმარჯვა გერმანელმა მასწავლებელმა. არმიის საერთო განვითარება აძლიერებს მის სამხედრო ძლევა მოსილებას. მას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ჩვენი წითელ-არმიელების დიდმა ნაწილმა ჯარში გაწვევის დროს წერა-კითხვა არ იციან. საერთო განვითარებაზე დამოკიდებულია სამხედრო სწავლების წარმატება. აი რათ ესალმება არმია ასე მხურვალეთ საქართველოს განათლების მუშათა დადგენილებას. ახალ ცოცხალ ძალებს გვაძლევს ეს კულტურული შეფობა.

მშრომელები არ ივიწყებენ თავის წითელ ჯარს: სამხედრო გასაჭირის დროს, როცა კონტრ-რევოლიუციის ფოლადის რკალი უფრო და უფრო ვიწროვდებოდა ჩვენს გარშემო, ისინი თავის საუკეთესო ამხანაგებს აგზავნიდენ წითელი არმიის შესავსებათ, სამხედრო სწავლების პერიოდში პროლეტარული მზრუნველობა—მატერიალური და კულტურული ძალებით დახმარება—წითელი არმიის გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ამ მოკლე ხნის წინათ კულტურული შეფობა მიიღო ხელოვნების მუშაკთა კავშირმა, ახლა ასეთ შეფობას იღებენ განათლების მუშაკები.

მაგრამ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას წითელი არმიის რიგებში სხვა მნიშვნელობაც აქვს. არმია კულტურის გამავრცელებელია ჩვენს ჩამორჩენილ და ბნელ ქვეყანაში. არმია თავის რიგებში იწვევს ბნელ, გაუნათლებელ გლეხებს და სახლში კი უშვებს მშრომელთა დიდი რესპუბლიკის შეგნებულ მოქალაქეებს.

სახლში დაბრუნების შემდეგ ისინი არიან საბჭოთა მშენებლობის ფუძე, სოფლის მეურნეობის განვითარების მამოძრავებელი ძალა, ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებენ სოფლათ ჩვენი მთავარი მტერის—სიბნელის დამარცხებაში.

რაში უნდა გამოიხატოს ახალი კულტურული შეფის დახმარება. პირველ ყოვლისა (ეს მთავარი ამოცანაა) საჭიროა დახმარება წითელ-არმიელებისათვის წერა-კითხვის შესწავლაში. წითელ-არმიელის სკოლას ესაჭიროება ძალები, სახელმძღვანელოები, საჭიროა წითელ-არმიელების მასწავლებლებისათვის გამოცდილებით დახმარება, საჭიროა წითელ-არმიელების მასწავლებლების ჩაბმა მეთოდიურ მუშაობაში, მათთვის სახელმძღვანელოებით დახმარება და ცოდნის შევსების შესაძლებლობის მიცემა. სკოლის გარეშე მუშაობაში საჭიროა წითელ-არმიელთა წრეების, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო და სამეცნიეროთა დახმარება, არმიაში ახლა დღის ლოზუნგია ანტი-სარწმუნოებრივი კამპანია, რაც მოითხოვს ბუნების მეტყველების კარგათ შესწავლას. აქ ფართე ასპარეზია მუშაობისათვის. არმიას არ ყოფნის საკუთარი ძალები, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კულტურული შეფები დაგვეხმარებიან.

მაშ შეუდგეთ შეგნებული და კულტურული მოქალაქე—მებრძოლის აღზრდის საქმეს.

ზერეჩინი.

ბავშვთა დაცვა ჭლექიდან, ამ ავადმყოფობის დამარცხების საფუძველია.

შეიძლება და საჭიროა ჭლექის დაძლევა. გახსოვდეს ეს პროლეტარო.

ჭლექის სენი ნახველით გადადის.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

მოსკოვი. 10 მაისი. გუშინდელი დღის განმავლობაში ტემპერატურა 36,9 არ ასცილებია, მაჯისცემა—88—94 წუთში. კატარრალური მოვლენები საშარდე ბუშტის მხრივ შემცირდა.

დღეს ტემპერატურა—36,8. საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებულია.

1923 წ. 10 მაისი, დღის 2 საათი.

პროფესორები: მინკოვსკი, ფორსტერი, კრამერი, ბუმკე, ნონნე.
პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.
ექიმი: ელისტრატოვი.
ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

გაფიცვა ესენში.

პარიზი. 11 მაისი. კრუპპის პროცესის გამო პროტესტის ნიშნათ დღეს გამოცხადდა გაფიცვა 5 საათით.

გაფიცვა დიუსბურგში.

პარიზი. 11 მაისი. დიუსბურგში „რუდერკის" ქარხნებში გაიფიცა 25 000 მუშა, გაფიცვა გამოიწვია ადმინისტრაციის მიერ მუშებისათვის პრემიის მიცემაზე უარის თქმამ.

სამხედრო სასამართლო „მუშაობს".

პარიზი. 11 მაისი. დიუსსელდორფში საფრანგეთის სამხედრო სასამართლომ რკინის გზის ხაზის გაფუჭებისათვის 7 კაცს შემდეგი სასჯელი მიუსაჯა: ერთს—დახვრეტა, ერთს—მუდმივი კატორღა, სამ ბრალდებულს—კატორღა 15—20 წლამდი, ორს კი—5 წლის ციხე.

რა დაუჯდა რურის ოკუპაცია.

რომი. 11 მაისი. პარიზიდან მიღებული ცნობით საფრანგეთის მთავრობა მოითხოვს, კრედიტს—250 მილიონ ფრანკს ოქროთი ოკუპაციით იანვრის თერთმეტიდან ათ მაისამდე გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად.

ვანდერველდე მხარს უჭერს ოკუპანტებს

ბერლინი. 11 მაისი. ვანდერველდემ განაცხადა, რომ ბელგიის სოციალისტები არა საჭიროთ თვლიან გერმანიის წინადადებებს.

ლოზანას კონფერენცია

მოკავშირეების ნოტა.

პარიზი. 8 მაისი. მოკავშირეებმა მიმართეს ისმეტ-ფაშას ნოტით, რომელშიაც მოითხოვენ განმარტებებს იმ კონფისკაციების და ჩხრეკის შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდა უცხოეთის ბანკებში სტამბოლში.

ოსმალოები მოითხოვენ გემების დაბრუნებას.

პარიზი. 8 მაისი. ოსმალეთის დელეგაცია მოითხოვს იმ გემების დაბრუნებას, რომლებიც ხელთ იგდეს ბერძნებმა დროებითი ზავის შემდეგ.

პოლიტიკურ კომისიაში.

პარიზი. 8 მაისი. ლოზანას კონფერენციის პოლიტიკური კომისია იხილავდა სხვა და სხვა საკითხებს სრუტეების და ფრაკიის საზღვრების შესახებ.

მეორე ხარისხოვანი საკითხები.

ლოზანა. 8 მაისი. კონფერენცია განაგრძობს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ფინანსიურ საკითხების მეორე ხარისხოვან მხარეების განხილვას.

ეკონომიურ კომისიაში.

ლოზანა. 8 მაისი. ეკონომიური კომისიის სხდომაზე პელლემ განაცხადა, რომ ხელშეკრულებაში არ შეიტახავს ოსმალეთის ვალის ობლიგაციების კერძო მესაკუთრეების უფლებებს და ამის გამო საკითხი ოქროთ გადახდის შესახებ განხილული იქნება ზავზე ხელის მოწერის შემდეგ.

რადგანაც ეს გადაწყვეტილება არ არის ხელსაყრელი ოსმალეთისათვის, ისმეტ-ფაშა დაჟინებით მოითხოვს, რომ ოსმალეთის ვალდებულებანი სისწორით იქნეს გამორკვეული ზავის ჩამოგდებამდე. საკითხი გადაეცა განსახილველად ექსპერტებს,

საკითხი სასამართლო რეჟიმის შესახებ.

ლოზანა. 8 მაისი. საკითხი უცხოელებისათვის ოსმალეთში სასამართლო რეჟიმის შესახებ ატარებდა კერძო მოლაპარაკების ხასიათს მოკავშირეთა დელეგაციების წარმომადგენლებს შორის, რის შემდეგაც რუმბოლდს თათბირი ჰქონდა ისმეტ-ფაშასთან.

გვერდის ახვევის გზით.

ლოზანა. 7 მაისი. მოკავშირეებმა ჯერ კიდევ ვერ გადასწყვიტეს როგორ გასცენ პასუხი ვოროვსკის გამოსვლას. ჰავასის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეები განუცხადებენ შვეიცარიის მთავრობას იმის შესახებ, რომ ვოროვსკი არ არის ოფი-

ციალური წარმომადგენელთ კონფერენციაზე. ამით მტკიცდება დაუშვებელი მოქმედება მოკავშირეების რომლებიც არ უშვებენ რუსეთს კონფერენციაზე. მონაწილეობის მისაღებად, თუ ის არ მოაწერს ხელს მოკავშირეების პროექტს სრუტეების შესახებ.

მოკავშირეები დათმობაზე მიდიან.

ლოზანა. 7 მაისი. ზოგიერთი გაზეთების ცნობით მოკავშირეები მზად არიან წავიდენ დათმობაზე.

გერმანია და ანტანტა

გერმანიის განზრახვები

ბერლინი. 8 მაისი. კანადის გაზეთის „გლობ ტორონტო"-ს ცნობით, გერმანია ცდილობს გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა სარეპარაციო საკითხში და განზრახული აქვს წინადადება მისცეს ამერიკის მთავრობას, რათა საფრანგეთის ვალი ამერიკისადმი გადარიცხოს გერმანიაზე. ამერიკის თანხმობის შემთხვევაში, გერმანია შეეძლებდა მის მიერ წარდგენილი რეპარაციების ჯამის რამოდენიმეთ გადიდებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ მაშინ სარეპარაციო საკითხის გადაჭრა დამოკიდებული იქნება იმაზე, შესძლებენ თუ არა საერთაშორისო ბანკირები უზრუნველყონ გერმანიისათვის დაუყონებლივი სესხი 20 მილიარდის რაოდენობით და აგრეთვე ამჯობინებენ თუ არა ამერიკის სამრეწველო წრეები გერმანიას, როგორც მოვალეს, საფრანგეთთან შედარებით.

უზიარებენ აზრს ერთიმეორეს.

პარიზი. 8 მაისი საფრანგეთის ელჩმა ლონდონში ცენტროლერმა აცნობა ინგლისის მთავრობას, რომ საფრანგეთი მზად არის გაუზიაროს აზრი მოკავშირეებს სარეპარაციო საკითხის შესახებ.

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი 8 მაისი. საფრანგეთის პრესას საჭიროდ მიაჩნია, არ დაუცადონ ინგლისის მთავრობის ნოტას გერმანიისადმი და გადასდგან დაუყონებლივ ნაბიჯები გერმანიასთან მოლაპარაკების განსახორციელებლად რურის დროებითი ოკუპაციის ნიადაგზე.

საგაზეთო პოლემიკა

პარიზი. 8 მაისი. „ტანი" ეკამათება რა ინგლისის პრესის ნაწილს, რომელიც ჰკიცხავს საფრანგეთის გერმანიის მიმართ დამოუკიდებლად მოქმედების გამო, აღნიშნავს, რომ ინგლისიც აძლევდა თავის-თავს ნებას დამოუკიდებელ გამოსვლებისათვის, როდესაც ეს მისთვის ხელსაყრელი იყო. მაგალითად, ინგლისმა, არ გაუწია რა ანგარიში მოკავშირეების აზრს თავის დროზე, გაანთავისუფლა ქონების ჩამორთმევიდან ინგლისში გერმანელი მოქალაქეები.

გერმანიის კაბინეტის მდგომარეობა.

ბერლინი 8 მაისი. **გერმანიის კაბინეტის მდგომარეობა განმტკიცდა, მას მხარს უჭერს სტინესის ცენტრალური (ბერლინის) და პროვინციის პრესა. რომელიც დარწმუნებულია, რომ კუნო გაილაშქრებს საფრანგეთ-ბელგიის ნოტის წინააღმდეგ და მოითხოვს რურის დაცვის გაძლიერებას.**

საფრანგეთმა დაიჩქარა.

ლონდონი 9 მაისი. მაკდოლანდის შეკითხვაზე გერმანიის წინადადების შესახებ, ბალდუინმა განაცხადა რომ ინგლისი მწუხარებას გამოსთქვამს, საფრანგეთის „აჩქარების" გამო და განზრახვა აქვს დაუყონებლივ გამოვიდეს საკუთარი მოსაზრებებით. ბალდუინმა გამოსთქვა აზრი, რომ ასეთივე ნაბიჯს გადადგამს იტალიის მთავრობაც.

ინგლისის ნოტა პრესის შესახებ.

ლონდონი 8 მაისი. ეხება რა ინგლისის ნოტას, რომელიც უნდა გაეგზავნო რუსეთს „დეილი ტელეგრაფი" ადარებს მას 1914 წლის ივლისში ავსტრიის მიერ სერბიისათვის გაგზავნილი ნოტას.

„დეილი ტელეგრაფი" სწერს: „ურთიერთობის გაწყვეტა არ არის ინგლისის პოლიტიკის მიზანი, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიერ ინგლისის მოთხოვნილების არ დაკმაყოფილება ინგლისის ქვეშევრდომთა კომპენსაციის შესახებ, გამოიწვევს აუცილებელ შედეგებს. „დეილი ექსპრესი" სასტიკად ილაშქრებს რუსეთთან კავშირის გაწყვეტის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ასეთი ნაბიჯი დიდი უაზრობა იქნებოდაო.

საფრანგეთის „შეცდომა".

ბერლინი. 10 მაისი. „ტაიმსი" საფრანგეთ-ბელგიის ნოტის სეპერატიულად გაგზავნას „დიდ პოლიტიკურ შეცდომათ" თვლის და აღნიშნავს, რომ ეს გარემოება მოქმედების უფრო მეტ თავისუფლებას ანიჭებს.

ინგლისის პოზიცია

ლონდონი 8 მაისი. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ხვალ კერზონი თემთა პალატაში გამოვა სიტყვით გერმანიის ახალი წინადადების და ამ წინადადებაზე საფრანგეთ ბელგიის პასუხის შესახებ. ილაპარაკებს ბალდვინი. გერმანიის წინადადებებს ალბათ არადამაკმაყოფილებლათ ჩათვლიან, მაგრამ **ინგლისის მთავრობა შესაძლებლათ ჩათვლის საშვალება მისცეს გერმანიას გამოვიდეს ახალი მიხალების წინადადებებით.**

არ მოსწონთ.

ლონდონი 9 მაისი. ინგლისის პოლიტიკური წრეები მთავრობის მიერ საბჭოთა მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტას გაოცებით შეხვდნენ. საზოგადოებრივი წრეები თავს იჭერენ რაიმე კომენტარიებისაგან და ელდიან რუსეთის პასუხს. **ინგლისის სავაჭრო წრეებს არ სურთ საბჭოთა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა.**

საბჭოთა რუსეთის ცნობის გარშემო

იაპონიის მუშები მოითხოვენ რუსეთის ცნობას.

ტოკიო. 7 მაისი. **ტოკიოში გაიმართა მუშების გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც მოითხოვდენ საბჭოთა რუსეთის ცნობას. ასეთივე მიტინგი გამართა ოსაკაში მუშათა ორგანიზაციებმა.**

რუსეთის ცნობისათვის.

ქრისტიანია. 8 მაისი. ნორვეგიის სტორტინგში კომუნისტებმა **ოლაფ შეფლემ და ეგედენისენმა აღძრეს საკითხი საბჭოთა რუსეთის დე-იურე ცნობის შესახებ.** პირდაპირ შეკითხვაზე თუ რა გააკეთა მთავრობამ ამ მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შეფლემ განაცხადა, რომ **საკითხი რუსეთის ცნობის შესახებ განხილული იქნება.** კომუნისტების წინადადებას მხარი დაუჭირა იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა ხოლმბომ და საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მოვინკულმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ამ ცნობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. კონსერვატორებმა ამ დღეს თავი დაიჭირეს რუსეთის წინააღმდეგ ჩვეულებრივ გალაშქრებისაგან. წინადადება რუსეთში წარმომადგენლობის ხარჯების დასაფარავად სტორტინგმა ერთხმად მიიღო.

რუსეთ-შვეციის დაახლოვება.

სტოკჰოლმი. 8 მაისი. „სოციალდემოკრატენი" მოითხოვს რუსეთთან კავშირის მოწესრიგებას. ლევგრენმა გოტებორგში ბირჟის საზოგადოების სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ლევგრენმა განაცხადა, რომ რუსეთთან კავშირის განახლება მეტად ხელსაყრელი და სასარგებლოა შვეციისათვის.

რუსეთთან დასაახლოვებლად.

კოპენჰაგენი. 7 მაისი. დანიის მსხვილი სამრეწველო ფირმების საბჭომ წინადადება მისცა ყველა იმ ფირმებს, რომელთაც აინტერესებთ, რუსეთთან ურთიერთობის განახლება, გაგზავნონ მოსკოვსა და პეტროგრადში ინჟინერი ლანგე რუსეთის ბაზრის შესასწავლად და დანიის სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის საკითხის გამოსარკვევად.

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ საბჭოთა რუსეთს.

ლონდონი. 8 მაისი. **ინგლისის მუშათა პარტია კვირას ლონდონის ცენტრში აწყობს გრანდიოზულ დემონსტრაციას, რომლის ლოზუნგია: „მუშების სოლიდარობის დაცვა და საბჭოთა რუსეთის უსათუოდ ცნობა. ინგლისის კომპარტია ქალაქის სხვა რაიონებში ამ დღეს მოაწყობს მთელ რიგ მიტინგებს.**

ინგლისის მემორანდუმი საბჭოთა რუსეთს

მოსკოვი. 40 მაისი. 8 მაისს ბრიტანეთის აგენტმა მოსკოვში ხოდჟონმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს გადასცა დიდი ბრიტანეთის მემორანდუმი. ამ დიდ მემორანდუმში, რომელიც 26 მუხლისაგან შესდგება, ინგლისი ამტყუნებს საბჭოთა მთავრობას იმ ვალდებულების დარღვევაში, რომელიც მიიღო საბჭოთა მთავრობამ სავაჭრო ხელშეკრულების მოწერის დროს სახელდობრ: ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ საწინააღმდეგო მოქმედებისა და პროპაგანდისაგან თავის შეკავებაში.

ნოტა დაწვრილებით აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის ანტი-ბრიტანულ პროპაგანდას, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონდა სპარსეთში, ავღანისტანში და ინდოეთის მოსაზღვრე ოლქში და ამტყუნებს თეგერანისა და ბაბულის რუსეთის წარმომადგენლებს ინდოეთის რევოლიუციონერებისათვის ფულითა და იარაღით დახმარებაში, აგრეთვე მათ ხელმძღვანელობაში და აგიტატორების გაგზავნაში, რომელთაც მომზადება მესამე ინტერნაციონალის შკოლებში მიიღეს

ნოტის აზრით ასეთივე აქტებს ადგილი ჰქონდა ეგვიპტის და ოსმალეთის ბრიტანეთის ადგილებში და თვით დიდ ბრიტანეთშიაც. ნოტა პასუხისმგებელს ხდის საბჭოთა მთავრობას იმ ფულით დახმარებაში, რომელიც კომინტერნმა უკანასკნელ კონგრესზე აღმოუჩინა ბრიტანეთის კომპარტიას და 120,000 გ. სტერლინგით ინდოეთის კომპარტიას. ნოტა მოითხოვს ასეთ მოქმედებაზე ხელის აღებას და ბოდიშის მოხდას და აგრეთვე იმ მოხელეების დათხოვნას, რომელნიც ამაში პასუხისმგებელი არიან.

შემდეგ მუხლებში ნოტა ეხება იმ ძალადობას ბრიტანეთის მოქალაქეებზე, რომელსაც თითქოს ადგილი ჰქონია რუსეთში; ნოტა აღნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილებით 1920 წ. დევისონის დახვრეტას და ამავე წლის ზაფხულში ქ-ნ გარდინგის ციხეში დამწყვდევას. ნოტაში ინგლისი მოითხოვს ამ ქალისათვის და დევისონის ქვრივისათვის კომპენსაციის გადახდას, შემდეგ ნოტა ამტყუნებს საბჭოთა მთავრობას 1922 წ. მურმანის ნაპირებზე ორ ინგლისელ ტრალლერის თითქოს უკანონო დაჭერაში და აგრეთვე ამავე წლის მარტში მესამე ტრალლერის დაჭერაში. ნოტა მოითხოვს ტრალლერების და მისი საკომანდო შემადგენლობის განთავისუფლებას, შესაფერ კომპენსაციის გადახდას და აგრეთვე დაპირებას იმაში, რომ ბრიტანულ თევზისმჭერ გემებს წინააღმდეგობას არ გაუწევენ 3 მილიან ხაზის გარეთ. შემდეგ ნოტა აღნიშნავს სასულიერო პირების დევნას რუსეთში, რომელთაც მაღალი პოსტები უჭირავთ მართმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებში, ყოველგვარ რელიგიის მოსპობისა და მისი უღმერთობის შეცვლის მიზნით. ნოტა ინგლისის ცეპლიაკის და ბუდკევიჩის საქმეში ჩარევას კანონიერათ სთვლის, რადგან ამ საქმემ „საშინელი აღშფოთება და შიში გამოიწვია მთელ განათლებულ კაცობრიობაში", საბჭოთა მთავრობის პასუხს განსაკუთრებით მის გამოქვეყნებას ნოტა შეურაცხყოფათ სთვლის ინგლისისათვის და მოითხოვს გარკვეულათ ორი ნოტის უკან წაღებას. ინგლისის მთავრობას, ამბობს ნოტა, არ აქვს არც სურვილი და არც განზრახვა რომელიმე აქ ჩამოთვლილ საკითხების შესახებ ხანგრძლივ და, შეიძლება, უსიამოვნო დავაში ჩაერიოს; თუ ათი დღის განმავლობაში მემორანდუმის მიღებიდან საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარიატი არ მიიღებს თავის თავზე მემორანდუმის მოთხოვნილებების სრულ დაკმაყოფილებას, მაშინ ინგლისის მთავრობა იფიქრებს, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს არსებულ დამოკიდებულებების შენარჩუნება. ამ შემთხვევაში ინგლისის მთავრობა, საბჭოთა მთავრობის მიერ სავაჭრო ხელშეკრულების დარღვევის გამო, თავისუფლად ჩასთვლის თავის თავს იმ ვალდებულებათაგან, რომელსაც ხელშეკრულება აიძულებს მას.

გერმანიის კომპარტიაში

მოსკოვი. 9 მაისი. 9 მაისს დასრულდა თათბირი გერმანიის კომპარტიის ტაქტიკის შესახებ, რომელიც მოწვეული იყო კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, გერმანიის კომპარტიის თაოსნობით. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია, რომ გერმანიის კომპარტიაში არსებული ზოგიერთი შეუთანხმებლობა შედეგია რევოლიუციონურ მოძრაობის ნელი განვითარებისა გერმანიაში. გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყოველთვის არ ჰქონდა შეგნებული, რომ აუცილებელი იყო დროიანათ შებრძოლება პარტიაში მარჯვნივ გადახრის მიდრეკილების წინააღმდეგ, რითაც მან საბაბი მისცა იმ წრეებსაც, რომელნიც მარცხნივ იხრებოდნენ. ბერლინისა და ჰამბურგის პარტიულ კომიტეტთა მარცხნით გადახრაში კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი ჰხედავს პროლეტარულ ელემენტების უკმაყოფილებას იმით, რომ გერმანიის კომპარტიას ეხლავე არ შეუძლიან ბრძოლა აწარმოვოს ძალა-უფლების დაუყოვნებლივ ხელში ჩასაგდებად. იმავე დროს აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ, თუმცა გერმანიის კომპარტიას ჩადენილი აქვს შეცდომები, მაგრამ იგი ისევ რევოლიუციონურ პროლეტართა პარტიად რჩება, და ღირსია კომუნისტურად განწყობილ მუშათა სრულის ნდობისა. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტი სრულის კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ გერმანიის კომპარტიის უმცირესობის წარმომადგენელთ ისე მნიშვნელოვანად არ მიაჩნიათ პარტიის შიგნით არსებული უთანხმოება, რომ იგი აფერხებდეს პარტიის მთლიან რევოლიუციონურ მოღვაწეობას.

კომპარტიის აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ რურის საკითხში გერმანიის კომუნისტურ პარტიის მიზანი უნდა იყოს ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ გერმანიის მუშები არ ჩაითრიონ გერმანიის ბურჟუაზიასთან კავშირში და აგრეთვე არ გადააქციონ საფრანგეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილ ყმებად. გერმანიის კომუნისტური პარტია უნდა ემზადოს საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის აუცილებელ შეთანხმებისათვის და გადაჭრით მიემხროს გერმანიის მუშათა კლასს ამ მოსალოდნელ განსაცდელის დროს. აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია, რათა გერმანიის კომუნისტური პარტიამ ეყრდნობოდეს არა მარტო მუშებს, არამედ გლეხობასაც, რომელიც წვრილი ბურჟუაზიის მიერ გაპროლეტარებულია, აგრეთვე დაემყაროს ტექნიკურ და გონებრივ მუშაკთა ფართო წრეებს.

სხვადასხვა ამბები

პორტუგალია.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

პარიზი. 7 მაისი. მოქმედების კომიტეტმა ბარსელონაში მოაწყო დიდი დემონსტრაცია თეთრი ტერორის წინააღმდეგ. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. დაიჭრა მრავალი.

პოლონეთი.

იარაღს აჟღარუნებენ.

ვარშავა. 8 მაისი. ფოშის საპატივსაცემოდ პოლონეთში გაიმართა დიდი სამხედრო მანიფესტაციები. ექსპერტების ცნობით პოლონეთის არმია გაძლიერებულია.

საფრანგეთი.

ძმური თანხმობა.

პარიზი. 8. მაისი. (მოსკოვით). საპატიმროდან დროებით განთავისუფლებულმა კომუნისტებმა უარი განაცხადეს საპატიმროდან გასვლაზე, რადგანაც მათი ამხანაგები გელინე და პერიც არ გაანთავისუფლეს. განთავისუფლებულნი ძალით გამოიყვანეს საპატიმროდან. გაზეთების ცნობით, კომუნისტების ბრალდება სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულობისა შესცვალეს ბრალდებით უბრალო დანაშაულობის ჩადენისათვის.

გერმანიაში.

სკანდალი პარლამენტში.

ბერლინი. 8 მაისი (მოსკოვით). **პრუსიის ლანდტაგში სკანდალი გრძელდება. მოწვეულმა პოლიციელებმა ძალით გაიყვანეს დარბაზიდან 18 კომუნისტი დეპუტატი, რომელთაც დიდი ობსტრუქცია მოახდინეს.** კომუნისტ შოლევის, სობოტკის და ფოლშტეინის წინააღმდეგ აღძრულია სამოსამართლო ძიება, მათ აბრალებენ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას. ამ ამბების გამო კომუნისტურ ფრაქციის ლანდტაგში წარდგენილი პროტესტი უარჰყვეს.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი სამარცხვინო ბოძზე აკრავს დემოკრატიული პარტიის მეთოდებს, რომელთაც პარლამენტი მუშტის კრივის ასპარეზად გადააქციეს. თითქმის ყველა მემარჯვენე გაზეთები ათავსებენ წერილებს დრომოჭმულ პარლამენტარიზმის სრულს დაცემაზე.

აჯანყება სატუსაღოში.

ბერლინი. 8 მაისი. ბრანდენბურგის სატუსაღოში, ბერლინის მახლობლად, პატიმართა აჯანყება მოხდა, რომელთაც, სასოწარკვეთილებამდე მიყვანილთ, დალეწეს ავეჯეულობა, ფანჯრის ჩარჩოები, აჰყარეს სახურავი. ზარალი მილიონობითაა. ტუსაღების წინააღმდეგ პოლიცია ვინტოვკებით ჩაერია.

მონარქისტების დღესასწაული.

ბერლინი. 8 მაისი. პოტსდამსა და შპანდაუში (ბერლინის სანახებშია) გაიმართა ჯარის დღესასწაული, რომელზედაც დაესწრო ჰინდენბურგი, მაკენზენი და სამი პრინცი ჰოგენცოლერნთა გვარისა.

მიუნხენშიაც გაიმართა ასეთივე დღესასწაული, რომელსაც დაესწრო ბავარიის ექს-კრონპრინცი და ლიუდენდორფი.

ლიტვა

მუშების დევნა

კოვნო. 9 მაისი. სეიმის არჩევნების მოახლოების გამო, მუშათა დევნა გაძლიერდა. დაატუსაღეს 100-ზე მეტი მუშა, რომლებიც მუშათა საარჩევნო სიაში იყვნენ შეტანილი. მუშათა პრესა სრულებით ჩაახშეს.

ოსმალეთი.

ანგორის პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

ლოზანა 8 მაისი. ანგორის მთავრობას ჯერ არ გაუცია პასუხი საფრანგეთის ულტიმატუმზე, სირიის საზღვრებზე ჯარის მოგროვების გამო.

ფაშისტური დაწესებულებანი.

ლონდონი 8 მაისი. საზოგადოებათა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი პოლიციელთა საგანგებო ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რომელიც, მუშათა პარტიის წარმომადგენელთა აზრით, ფაშისტური დაწესებულება იქნება. კანონ-პროექტში შეტანილ იქმნა შესწორებანი, რომლის ძალითაც აკრძალულია პოლიციელთა გამოყენება შტრეიკბრეხერებად. პოლიციაში თავისუფლათ უნდა ღებულობდნენ ყველა მსურველთ, მათ შორის ტრედუნიონის წევრებსაც. მთავრობამ უარჰყო შესწორება, რომლის ძალითაც პოლიციას ეკრძალება სამრეწველო კონფლიქტებში ჩარევა იმ მოსაზრებით, რომ ეს შესწორება ზედმეტია. რადგანაც პოლიცია საერთოდ ასეთ შემთხვევებში არ ერევა ხოლმე. ამის საპასუხოთ ლანობერმა მოიყვანა მაგალითები, როდესაც პოლიციელები შტრეიკბრეხერებად გამოუყენებიათ.

ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ

ზაფხულის სიცხეებისაგან ხოლერის და კუჭ-ნაწლავების სხვა [illegible] ავადმყოფობათა გაჩენის თავიდან ასაცილებლად ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის [illegible] მიზნით გამოჰყო თავის შემადგენლობიდან საგანგებო სასანიტარო სამეული თავმჯდომარე ა. გეგეჭკორი, წევრები: ჯანმრთელობის განყოფ. გამგე და შინა-მმართველობის განყოფილების გამგე. სასანიტარო სამეულის მიზანია მკაცრი თვალ-ყური ადევნოს ქალაქის სანიტარული მდგომარეობის დაცვის შესახებ გამოცემულ ყველა სავალდებულო დადგენილებათა ცხოვრებაში უცვლელათ გატარებას, რომელთა დარღვევისათვის დამნაშავენი სასტიკად იქნებიან დასჯილნი.

აცნობებს რა ზემოაღნიშნულს მოქალაქეთ, საგანგებო სასანიტარო სამეული წინადადებას აძლევს:

1). სახლის პატრონებს, გამგეებსა და კომენდანტებს მკაცრი თვალ-ყური ადევნონ ეზოებისა და მათ სახლების ახლო მდებარე ქუჩების სისუფთავეს.

2). ყველა დაწესებულებასა და წარმოებას ევალებათ იქონიონ კუბი ადუღებული წყლისათვის სახურავით და საკეტით და ონკანთან მიმბული წყლის დასალევით. წყალი უნდა იცვლებოდეს ყოველ დღე და კუბი ირეცხებოდეს იმავე წყლით.—

3) სასტიკათ ეკრძალებათ ყველა ვაჭრებს მოხარშული, შემწვარი ან და საერთოდ საჭმელათ უკვე გამზადებულ საჭმელ ნივთიერებათა სავაჭრო დაწესებულების გარეთ ქუჩაში გაყიდვა და ტარება; სავაჭრო დაწესებულებებში კი ისინი აუცილებლად დაცულ უნდა იქმნან მტვრისა და ბუზებისაგან.

4). საგრილებელ წყლებით მოვაჭრეთ წინადადება ეძლევათ მოამზადონ ხოლმე ისინი მხოლოდ მოდუღებული წყლით.

5). ყველა მოქალაქეს, განსაკუთრებით ექიმებს ევალებათ: კუჭ-ნაწლავთა ყოველგვარ მწვავე ავადმყოფობათა შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ტფილისის ჯანმრთელობის განყოფილებას: მისამართი: ველიამინოვის ქ. 3. ტელ. 9—12.

6) სასანიტარო ზედამხედველობას წინადადება ეძლევა გააძლიეროს თავის მოღვაწეობა და ქალაქის სანიტარული მდგომარეობის დაცვის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის ყოველ შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეადგინოს სათანადო ოქმი, რომელიც უნდა გადაეგზავნოს საგანგებო სანიტ. სამეულს, დამნაშავეთა სასტიკ პასუხისგებაში მისაცემად. მილიციას ევალება, სამილიციო უბნის ფარგლებში-უბნის კომისრებს, და ქალაქის ფარგლებში მილიცის უფროს, თავიანთ პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ სასტიკი თვალ-ყური ადევნოს სავალდებულო დადგენილებათა სისწორით შესრულებას.

საგანგ. სასანიტ. სამეულის თავმჯდ.—ა. **გეგეჭკორი.**

წევრები: **ვაჩაძე, თაქთაქიშვილი.**

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

მოსკოვი. 9 მაისი ახლო მომავალში გამოქვეყნდება დეკრეტი ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. დეკრეტის თანახმად სასოფლო მეურნეობის დაბეგვრა რომელიმე სხვა გადასახადით, გარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, აკრძალულია. გადასახადი ვრცელდება სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთელ ტერიტორიაზე. გადასახადი გამოანგარიშებულია წონის ზომით ფუთი ჭვავით ან ხორბლით სამომხმარებლო ან სამრეწველო გუბერნიებში გადასახადი აკრეფილი იქნება ფულად.

სახელმწიფოსათვის სასარგებლო კულტურების განვითარების მიზნით, გადასახადი არ ვრცელდება იმ ადგილებზე, რომლებზედაც გაშენებულია კულტურა თესლების, სათესი ბალახების. ძირტკბილის, და სხვა კარგი ჯიშის მცენარეები და აგრეთვე ბამბის ნათესები.

დეკრეტის ძალით დაწესებულია მოსავლიანობის 11 ხარისხი, რომელიც თვითეული გუბერნიისათვის განსაზღვრული იქნება მოსავლიანობის გამორკვევის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 15 აგვისტოსი.

დეკრეტში აღნიშნულია მთელი რიგი შეღავათებისა იმ მეურნეობათათვის გადასახადის რაოდენობის შემცირების მხრივ, რომლებიც აწარმოებენ სარწყავ და საშრობ სამუშაოებს. ეს შეღავათი ვრცელდება აგრეთვე გადმოსახლებულთა მეურნეობაზე, სამხედრო სამსახურში მყოფთა ოჯახებზე, იმ მეურნეობებზე, რომლებმაც წარადგინეს ექსპონატები სრულიად რუსეთის გამოფენაზე და აგრეთვე იმ გუბერნიებზე, რომლებიც 1920 წ. ითვლებოდენ სავსებით დამშეულებად. გადასახადის აკრეფა ხდება მოსავლის აკრეფისას სათანადო ფურცლების წარდგენის გზით.

კოოპერაციის სამქვირეულისათვის

ცეკავშირის გამგეობის მოღვაწეობა.

(ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება ცეკავშირის სესიაზე).

ამხანაგებო! მოთხოვნილება მოკავშირე კოოპერატივების ბიუროს მოწვევისა გამოწვეული იყო ამ უკანასკნელ დროს იმით, რომ ჩვენი ოპერაციები შედარებით გართულდა. მომავალი გეგმა მოითხოვდა მთელი რიგი საკითხების, (საორგანიზაციო და სხვა ხასიათის) გადაჭრასა და ამას დაერთო ისიც, რომ უკვე ხუთი თვე გავიდა ჩვენი მოქმედებისა და მაშასადამე მოკავშირეთა კოოპერატივების ბიურომ უნდა იქონიოს, როგორც უმაღლესმა ორგანომ ნათელი წარმოდგენა იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც აქამდის მიმდინარეობდა. ჩვენი მოხსენება შეეხება ამ ხუთი თვის პერიოდს დეკემბრიდან დაწყებული და გათავებული აპრილით.

როგორი მემკვიდრეობა მივიღეთ.

თქვენ გახსოვთ, ამხ., თუ რა პირობებში მოგვიხდა ჩვენ მუშაობის დაწყება. ძველი გამგეობისაგან ჩვენ ჩავიბარეთ მეტის მეტათ გაღარიბებული ქონება. მდგომარეობა ისეთი იყო, რომ არა თუ მარტო მატერიალურად იყო გაღარიბებული ცეკავშირი, ის ნდობა—დაკარგულიც იყო და მთელი მისი აპარატი განიცდიდა საშინელ დამბლას. ყოველი ოპერაციები შეჩერებული იყო და შეიძლება ვთქვათ, რომ მხოლოდ ცარიელი კედლები და ამასთან უამრავი შტატი დაგვრჩა. ჩვენ უკვე გვაქვს შედგენილი 1922 წ. ანგარიში. აქედან ნათლად დაინახავთ, თუ რა მდგომარეობაში იყო საქმე. ცეკავშირის ცხოვრებაში ეს პირველი ბალანსია რომელიც დიდი ზარალით არის დასრულებული, მაგრამ უამისოთაც შარშან ნოემბერშივე ნათლად გვქონდა წარმოდგენილივე თუ როგორ იყო საქმე.

ახალი წყაროები. მთავრობის დახმარება.

ამიტომ თავიდანვე აღვძარით საკითხი იმ წყაროების შესახებ, რაზედაც უნდა დაყრდნობოდა ცეკავშირი და რასაც უნდა ეცვება ის. ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვემართა მთავრობისთვის და გვთხოვა მისთვის სესხი. მთავრობამ ეს სესხი მოგვცა. ამასთან დავაკავშირეთ მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც დაუყოვნებლივ საჭიროებას წარმოადგენდენ კოოპერაციის მუშაობის მიმდინარეობისათვის. ეს საკითხები თქვენ გაცნობილი გაქვთ, აგრეთვე დადგენილება, რომელიც გამოიტანა მთავრობამ, მაგრამ მე მაინც საჭიროთ მიმაჩნია აქ სავსებით მოვიყვანო 7 დეკემბრის 1922 წლ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

1. ცეკავშირის გამგეობის შუამდგომლობა მისთვის შეღავათიან პირობებში სესხათ 250.000 მან. ოქროთი მიცემის შესახებ დაკმაყოფილებულ იქნეს.

2. ზემოაღნიშნული თანხის ანგარიშში მიეცეს ცეკავშირის გამგეობას ერთი კვირის განმავლობაში სესხი ოთხმოცდა ათი ათასი (90.000) მანეთი ოქროთი ერთი წლით სახელმწიფო დაწესებულებათათვის არსებულ პროცენტების გადახდევინებით, ხოლო ამ სესხით რგებულ პროცენტების გადახდის ვადა გადადებულ იქნეს 1923 წლის 1-ლ ივლისამდე.

3. ცეკავშირის გამგეობის მიერ სახალხო ბანკისაგან წინეთ მიღებულ ხუთი მილიარდიანი სესხის დაფარვის ვადა აგრეთვე გადადებულ იქნეს ერთი წლით მისთვის, ისეთივე დაფარვის პირობების და პროცენტების გადახდის დაწესებით, როგორც აღნიშნულია ამა დადგენილების მე-2 მუხლში.

4. დაევალოს ყველა სახელმწიფო ორგანოებს ამა დადგენილების დღიდან ორი თვის განმავლობაში გაუსწორონ ანგარიში ცეკავშირის გამგეობას ყველა იმ ქონებაზე და ღირებულებებზე, რომელნიც უკანასკნელის მიერ გადაცემული ჰქონდა სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს.

5. ცეკავშირის გამგეობის შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის მიერ დრამატიული სტუდიის ქონების დაბრუნებაზე უარყოფილ იქნეს, ხოლო რაც შეეხება კინოწარმოების ქონებას, ცეკავშირის გამგეობა შეყვანილ იქნეს პაიშიკათ განათლების კომისარიატის მიერ კინოწარმოების საქმეში მოსაწყობათ განზრახულ სააქციონერო საზოგადოებაში, ხოლო დასახელებულ სააქციონერო საზოგადოებაში ცეკავშირის მონაწილეობის წილის გამორკვევა დაევალოს განსაკუთრებულ კომისიას საქ. პროფკავშირების საბჭოს, მუშაგლეხთა ინსპექციას, განათლების კომისარიატის და ცეკავშირის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

6. ვინაიდან კოოპერაცია ძირითადი აპარატია სოფელსა და ქალაქის შორის მჭიდრო ეკონომიურ კავშირის დასამყარებლათ, როგორც სახელმწიფო პროდუქციის რეალიზაციის ისე სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა დამზადების და ადგილობრივ წვრილ კუსტარულ მრეწველობის განვითარების საქმეში, მიეცეს წინადადება ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს გამოაცოცხლონ სამეურნეო-საქმიანი კავშირი კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და, იხელმძღვანელონ რა პრაქტიკული მიზანშეწონილობის მოსაზრებით, გამოიყენონ პირველ რიგში კოოპერატიული აპარატი საგანგებო უპირატესობის პირობით, ხოლო ყველა ძირითადი ოპერაციები გატარებულ და განხორციელებულ იქნეს ცენტრალისტურათ კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის (ცეკავშირის) საშვალებით.

როგორც ხედავთ ეს დადგენილება სავსებით შეეფერება ცეკავშირის ინტერესს, როგორც ხედავთ არ დარჩენილა არც ერთი სასიცოცხლო მხარე კოოპერაციის საქმიანობისა; რომელიც არ იყოს ამ დადგენილებაში გამოხატული, როგორც ძველი ზარალის ანაზღაურების, ისე ახალი ოპერაციების რიგიანათ წარმოების. და თვით საორგანიზაციო საკითხების სწორად გადაჭრის ნებით. ჩვენ გამოვიანგარიშეთ ჩვენი საჭიროებების მიხედვით 250.000 მანეთი ოქროთი და რადგანაც პირველ ხანებში მეტი არ გვესაჭიროებოდა აქედან მთავრობისაგან მივიღეთ 90.000 მან. ოქრო, და ეს ერთი კვირის ვადაში გადაწყვეტილების დღიდან. აგრეთვე ჩვენთვის უნდა დაებრუნებიათ ყოველივე ის ქონება, რომელიც ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ჩამოერთვა ცეკავშირს. ამასთანავე ყველა სახელმწიფოებრივ დაწესებულებას მიეცა წინადადება, რათა თავის აღებმიცემობა ეწარმოებიათ კოოპერატივების საშვალებით.

რა მივიღეთ, რა განვახორციელეთ, რა საჭიროება დავაკმაყოფილეთ? პირველათ ყველას თვალში ეცემა ეს 90.000 მან. ოქრო, რომელზედაც ერთნაირი განგაშია სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის, რომლებიც ამ თანხას ძლიერ ადიტებენ და რაღაც უთვალავი ჯამი ჰგონიათ და თუ ცეკავშირის მდგომარეობა ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გამოკეთდა ამაში, მხოლოდ ეს თანხა მიაჩნიათ მიზეზად. მე აქ, ამხანაგებო, მოგახსენებთ თუ როგორ მოხდა ამ თანხის დახარჯვა და განაწილება. ჩვენ დაგვხვდა აუარებელი ვალი ძველი გამგეობის შემდეგ და ეს თანხა ნავარაუდევი იყო ამ ვალების დასაფარავათ. ეს ვალი იყო უმთავრესათ მოსამსახურეების ჯამაგირი და სხვა და სხვა ფირმების ვალი, რომლებიც გასაქანს არ გვაძლევდენ და თუ ამათ არ დავაკმაყოფილებდით მუშაობის განგრძობა უამისოთ შეუძლებელი იყო და არ შეგვეძლებოდა ბაზარზე დაგვეწყო ჩვენი მოქმედება. აი სად არის დახარჯული ეს თანხა: აბრეშუმის საქსოვ ქარხანაზე რომელიც ჩვენ შევიძინეთ ამ ოქროდან დაიხარჯა 17.600 მან.. ბათუმის განყოფილებას მიეცა 16 700.000 მან. რის მომეტებული ნაწილი დაიხარჯა სახარინის გამოსასყიდათ, რომელიც ძველი გამგეობისაგან იყო ნაყიდი, აგრეთვე სატრანსპორტო ქირაში, გაუსტუმრებელ ძველი ჯამაგირების დასაფარავად დაგვჭირდა 5.000 მან., დანარჩენი სავაჭრო ოპერაციებს მოხმარდა, რომელიც ცეკავშირმა იმ ხანებში წამოიწყო. ეს არის უმთავრესად შაქარი, შემდეგ მანუფაქტურა, ბორჯომის წყალი, ღვინო და სხვა. ამათზე დაიხარჯა 42.900. საწარმოვო დარგს მიეცა 1.500 მიმდინარე ხარჯებისათვის.

ამნაირად, როგორც ხედავთ, მიუხედავათ მაშინდელი მძიმე მდგომარეობისა ჩვენ მოვახერხეთ ამ თანხის დიდი ნაწილი, 68 პროც.-დე დაგვებანდებია ნაყოფიერად—საქსოვ ქარხანაზე და ხელსაყრელ ოპერაციებზე.

რას მივაქციეთ უმთავრესი ყურადღება.

როდესაც აპარატი შედარებით გამოვაცოცხლეთ და ჩვენ შეძლება მოგვეცა სავაჭრო და სხვა ოპერაციები გვეწარმოებინა, ჩვენ წინ დადგა მთელი რიგი სხვადასხვა საოპერაციო საკითხთა, უმთავრესად კი თუ რაში უნდა დაგვეხარჯა მთელი ჩვენი ძალღონე თვით ცეკავშირი ჯერჯერობით წარმოადგენს მომეტებულათ სავაჭრო და არა წარმოებითი აპარატს, თუმცა იდეურათ წარმოება აქვს სახეში და არა მარტოოდენ სავაჭრო ოპერაცია; მაგრამ იმ ხანაში რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მთელი სიმძიმის ცენტრი გადაგვეტანა სავაჭრო ოპერაციაზე რადგან კომერციული თვალსაზრისით სავაჭრო ოპერაციები უფრო ხელსაყრელია ვინემ რომელიმე წარმოების ხელის მოკიდება, ვინაიდან რაც უნდა სუბუქი იყოს წარმოება, ის მაინც მოითხოვს თანხებს და ჩვენ კი თანხები არ გვქონდა ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით მთელი ჩვენი ყურადღება სავაჭრო ოპერაციაზე მიგვეპყრო. მაგრამ ჩვენ თვალწინ წარმოდგა სხვანაირი სურათი. ვაჭრობა საჭიროებს გარანტიას, ერთგვარ ეკვივალენტს, თუ შენ არ მიაწოდებ რამეს არც მეორე მხარე მოგვცემს რამეს. ჩვენი ოპერაციის ცენტრი იყო მოსკოვი—ცენტროსოიუზი. ორთავესათვის ხელსაყრელი იყო საქონლის გაცვლა-გამოცვლა, იმის სანაცვლოს მიცემა, რაც ჩვენ მოგვეცა.

ღვინის ოპერაცია.

და აი, ჩვენ აქ ისეთი ნაწარმოები აღმოგვაჩნდა რომლის გატანა თვით მწარმოებელთათვის მიუწვდომელი იყო და იმავე დროს ჩვენი ხალხის ეკონომიკაში ის წარმოადგენდა ერთ უმთავრეს ძარღვს. სამაგალითოდ დავასახელებ ღვინოს. მაშინ ბაზარი ისეთი იყო, რომ ღვინის ფასი ყველა ფასზე დაბლა იდგა და თუ გაგრძელდებოდა ასეთი მდგომარეობა, ჩვენი მწარმოებლები დადგებოდენ ისეთი გასაჭირის წინ, რომ იძულებული იქნებოდენ სრულიად ხელი აეღოთ მევენახეობაზე ვინაიდან ღვინიდან შემოსული ფულით წამლის ყიდვასაც ვერ ახერხებდენ. აშკარაა, როდესაც გოგირდს და შაბიამანს ვერ გამოისყიდიდა ღვინის ფასი მწარმოებელი აჯობინებდა სრულიად ხელი აეღო ამ წარმოებაზე და სხვა წარმოებისათვის მოეკიდა ხელი. როდესაც გავითვალისწინეთ ასეთი ადგომარეობა ჩვენ გამოვიტანეთ ისეთი დასკვნა, რომ აუცილებლად უნდა ვეცადოთ ეს დაქვეითებული და დაცემული წარმოება ღვინისა როგორმე ფეხზე დავაყენოთ. ამისთვის იყო ერთად ერთი გზა—მიგვეცა ღვინისთვის ბაზარი უფრო ფართე ვიდრე ქონდა მას საქართველოში და ამით ჩაგვეყენებია ნორმალურ მდგომარეობაში: დაახლოვებით ომიანობის წინ არსებულ ფასებში. ამ ოპერაციისათვის ჩვენ გადავდევით 10.000 მან. ოქროთი. დავავალეთ სავაჭრო განყოფილებას მოეგვარებია საქმე შემდეგნაირათ: დაებარებია მეღვინეები და მიეცა ასეთი წინადადება: „თქვენ ღვინის გასავალს აქ ვერ პოულობთ, ღვინის ფასი დაცემულია. ჩვენ ვკისრულობთ გავიტანოთ თქვენი ღვინო, ავიღებთ ჩვენ თავზე გატანის ხარჯს, ფრახტს, აქციზს და როდესაც გასაღდება ჩვენი ხარჯის განაღდების შემდეგ დანარჩენი მთელი ფული დაგიბრუნდებათ. ამით გვინდოდა მეღვინეებისათვის გზა გაგვეხსნა რუსეთის ბაზრისაკენ. ცნობილია, რომ მარტო საქონლის ქონა არ არის საკმარისი, საქონლის გატანა დიდ ძალ თანხას მოითხოვს და ჩვენ ჩვენი თანხით ამას შევძლებდით. უნდა ვთქვათ რომ გარეგნულათ დიდი სიხარულით შეხვდენ მეღვინეები ამას. ჩვენ რაკი შევუდექით ამ გზაზე დაუკავშირდით სათანადო ორგანოებს, აგრეთვე თვით მწარმოებელი უშუალოდ გავგზავნეთ პირველი მარშრუტი რუსეთში. ასე რომ თუ დღეს ღვინოს დიდი ფასი აქვს და თითქმის უახლოვდება ომიანობის წინ არსებულ ფასებს—ამის მიღწევაში ცეკავშირს უეჭველად უდევს საგრძნობი წილი და ეს არა იმიტომ მარტო, რომ მან გაიტანა ღვინო და იმით ასწია ფასი არამედ მით, რომ მან უჩვენა მეღვინეთა ამხანაგობას სამაგალითო გზა და სხვებისათვის სამაგალითო შეიქნა იგი.

ერთ ფირმას მეღვინეებისას, სახელდობრ „ძმობას" ჩვენ შევეკარით პირობით, რომ მასთან ერთად ჩვენ დაგვემზადებია ღვინო; ჩვენ ავირჩიეთ ის იმიტომ, რომ მას ჰქონოდა შესაფერი აპარატი და ჰყავდა სპეციალისტები. თვითონ მისი პატრონი სპეციალისტია. და ამნაირათ შეიძლებოდა ღვინის ისეთ მდგომარეობაში დაყენება რომ უშიშროთ ჩაგვეტანა რუსეთში. ამრიგათ დავაგროვეთ ათი ათასი ვედრო ღვინო, ამას გარდა უკვე გავგზავნეთ 2.130 ვედრო ღვინო. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ეს 90.000 მან. მივიღეთ და გვინდოდა მთელი რიგი საქმეების მოწყობა.

საქსოვი ქარხანა.

სწორეთ ამავე დროს ჩვენ თვალწინ დადგა საკითხი საქსოვი ქარხნის შესახებ. ეს ქარხანა იყო თბილისში და პატრონს არ ქონდა საშვალება ამ ქარხნის დადგმისა და მოწყობისა, ვინაიდან ეს თხოულობდა უფრო მეტ ხარჯს ვიდრე მისი მოტანა და ყიდვა რადგან ასეთ მდგომარეობაში ვნახეთ ის, გადავწყვიტეთ გვეყიდა, დაგვედგა და აგვემუშავებია. ეს გადაწყვეტილება შემდეგი მოსაზრებით მივიღეთ: ქარხანა ევროპიული ტიპის იყო, თითქმის ახალი, შეუძლია დაამუშაოს წელიწადში 70.000 არშინამდე აბრეშუმის ქსოვილი და დაბანდოს შიგ სამოცამდე მუშა. ამასთან ნედლი მასალა ჩვენ ბევრი გვაქვს და ამ მხრივ არავითარი გასაჭირი არ მოგველოდა, რადგან დიდძალი აბრეშუმის პარკი გვაქვს. ამ ქარხანას კი მხოლოდ ერთი-ორი პროცენტის დამუშავება შეუძლია მთელი ჩვენი აბრეშუმისა. როცა ამ საკითხს ვწყვეტდით ჩვენ სახეში გვქონდა არა მარტო მოგება არა ის, რომ ფული დაგვებანდებია და აქედან სარგებელი მოგება გვენახა. ჩვენ გვაინტერესებდა სხვა ხასიათის მოსაზრება, სახელდობრ მეაბრეშუმეობის ბედი. მეაბრეშუმეობა მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს ჩვენ წარმოებაში და ჩვენი კოოპერაცია დიდ მუშაობას ეწეოდა ამ პარკის დაგროვების საქმეში და ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა, რომ კოოპერაცია მომავალში იქნებოდა ბატონ-პატრონი მთელი ამ წარმოებისა დამზადების სფეროდან გასაღების სფერომდე. ჩვენ სტატისტიკური ცნობებიდან ვიცით, რომ ომის წინა დროს დამზადება უდრიდა 121.000 ფუთს ეს უდრის 2 ნახ. ან 3 მილიონ მანეთის საფასურს ოქროთი. ეს გადიოდა საზღვარ-გარეთ და ამის მაგიერ იქიდან შემოდიოდა ამ ორ მილიონ ნახევრის ღირებულება და ემატებოდა ჩვენ მეურნეობას. საჭირო იყო გვეფიქრა იმის შესახებ, თუ რათ უნდა ვიყოთ მუდამ ნედლი მასალის ქვეყანა, რათ უნდა მუდამ საზღვარ-გარეთ გადიოდეს ჩვენი ნედლი მასალა, და ადგილობრივათ რათ არ უნდა დავამუშაოთ ის. მაგალი ამ საქმის გადაწყვეტა ერთი წლის განმავლობაში სასაცილო და უტოპია იქნებოდა, მაგრამ ნაბიჯი კი უნდა გადაგვედგა ამის მოსაწყობათ მომავალში და ჩვენ პირველი ნაბიჯ დავდგით. ამასთან ისიც წარ გინეთ, რომ დღევანდელ პირო მეაბრეშუმეობა იოლი დარგის მოების წარმოადგენს, სულ ხუთ ესი კვირის მუშაობა სჭირდება. მუშაობენ ბავშვები და დედაკაცები, რომლებიც სხვათაშორის აკეთებენ ამ საქმეს და ექვს კვირაში მზადდება ასეთი ღირებულების ქონება. საჭიროა ამ დარგის განვითარება. დღეს თუ ჩვენ ევროპას ვაძლევთ 100 პროც. ნედლი მასალისას ჩვენ ახალ ფაბრიკას კი შეუძლია 1—2 პროცენტი დაამუშაოს, შემდეგ ამას მოჰყვება კიდევ სხვა ასი ფაბრიკა და ასე ასი პროცენტი ჩვენი ნედლი მასალისა აქვე დამუშავდება და ეს კი გამოიწვევს დიდ ცვლილებას სახალხო ეკონომიკაში. მარტო სამოცი მუშა, რომელიც ფაბრიკამ უნდა დაბანდოს საკმაო ძალას წარმოადგენს. ამ ტიპის ფაბრიკა საშუალოზე მაღლა. ითვლება საშუალო ის ფაბრიკა სადაც დაბანდებულია 30—40 მუშა და ა ამაზე მეტი კი დიდ ფაბრიკათ ითვლება. ამიტომ გავბედეთ ჩვენ ამ ფაბრიკის შეძენა და მისი ამუშავება. უეჭველია ჩვენ ამ ფაბრიკას თქვენთან ერთად დავათვალიერებთ და თქვენც დაეთანხმებით, რომ ამას არ უნდა შევხედოთ პირდაპირ ისე, როგორც საექსპლოატაციო საგანს, არამედ ისეთ ღირებულებას, რომელსაც შემოაქვს მთელი რიგი ცვლილებისა ჩვენს ეკონომიკაში.

ეს ისეთი დარგები ჩამოვთვალე, რომელსაც სჭირდებოდა მთელი გამგეობის კოლექტიური თანხმობა, მუშაობა და რომელიც იყო პირველი ნაბიჯი ჩვენი მოქმედებისა.

(შემდეგი იქნება)

72
ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრიული სისტემის შემოღება.

მოსკოვი. 9 მაისი. მეტრიული სისტემის შემოღება საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებებში დამთავრდება მიმდინარე წლის 1 ივლისს სანამ ხალხი შეეჩვეოდეს ახალ სისტემას, ასეთი გადატანილი იქნება ძველზე.

საბინაო ქირა.

მოსკოვი. 9 მაისი. სახალხო კომისართა საბჭოში შეტანილია დადგენილების პროექტი საბინაო ქირის შესახებ. ამ პროექტის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებების და წარმოებების მუშა-მოსამსახურენი, რომელთა თვიური ჯამაგირი არ აღემატება საშუალოს და აგრეთვე ის პირები, რომლებიც იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფაზე, წითელ არმიელთა ოჯახები, ინვალიდები, უმუშევრები და მოწაფეები იხდიან თვეში კვადრატიულ საჟენზე 20 კაპეიკამდე ოქროთი, ადგილობრივი ალმასკომის გადაწყვეტილების მიხედვით. თვიური ჯამაგირის გადიდებასთან ერთად იზრდება გადასახადი კვადრატულ საჟენზე თვიურად 1 მანეთამდე ოქროთი. ის პირები, რომლებიც შრომის მიხედვით არ ღებულობენ შემოსავლს, ამ გადასახადის გარდა, ფარავენ აგრეთვე შეკეთებისათვის გაწიულ ხარჯებს.

დამატებითი გადასახადების აკრეფა სახლების შეკეთებისათვის, გასუფთავებისა და ქვა-ფენილების შეკეთებისათვის და აგრეთვე მეეზოვის შენახვისათვის, პროექტის ძალით დაუშვებელია.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

ვოლოგდა. 8 მაისი. მიმდინარე წელში ვოლოგდის გუბერნიაში განზრახულია 18 სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობა.

ესერების დაშლა.

მინსკი. 8 მაისი. ადგილობრივმა ყოფილ ესერების ჯგუფმა მოწოდებით მიმართა ბელორუსიის ყველა ესერებს, რომელშიც აცხადებს ესერების პარტიის ლიკვიდაციაზე და მოუწოდებს კომუნისტურ პარტიაში გადასვლას.

საეკლესიო ყრილობა და ტიხონი.

მოსკოვი. 9 მაისი. 8 მაისს საეკლესიო ყრილობის 8 კაცისაგან შემდგარმა დეპუტაციამ ციმბირის მიტროპოლიტ პეტრეს მეთაურობით ინახულა ბელავინი და წაუკითხა მას ყრილობის დადგენილება მისთვის ღირსების ჩამოხდის შესახებ, ბელავინმა ხელი მოაწერა მის შესახებ დადგენილების წაკითხვაზე.

რუსეთის მმართლმადიდებელ ეკლესიის საბჭო.

მოსკოვი. 9 მაისი. 9 მაისს დაიხურა სრულიად რუსეთის საეკლესიო ყრილობა. ყრილობის მიერ არჩეულია 18 კაცისაგან შემდგარი რუსეთის მმართმადიდებელ ეკლესიის უმაღლესი საბჭო. საბჭოში შევიდენ ორი „აღორძინების“ ჯგუფიდან, 6 მეორე განახლებულ ჯგუფიდან, 10 ცოცხალ ეკლესიიდან, მათ რიცხვში მიტროპოლიტი ანტონი და პეტრე, მთავარი ეპისკოპოზი ვედენსკი, ხუცესი კრასნიცკი და სხვები.

უკრაინა.

ხე-ტყის მასალების რეალიზაცია.

მოსკოვი. 8 მაისი. ხე ტყის მასალების ექსპორტის სამმართველოს მიერ გაგზავნილი ხე-ტყის მასალების პარტია ინგლისში განაღდებულია 95 პროცენტით. ინგლისში რუსეთის ხე-ტყის მასალებს დიდი გასავალი აქვს მაისისათვის განზრახულია მეორე პარტიის გაგზავნა ინგლისში.

კიდევ ერთი შაქრის ქარხანა.

ოდესა. 9 მაისი. ახლო მომავალში ამუშავებული იქნება ყოფილ სტეპანოვის ამხანაგობის შაქრის ქარხანა ქარხანაარ მუშაობდა 1916 წლიდან. ქარხანაში დაქირავებული იქნება 1500 კაცი. განზრახულია წარმოება დღიურად აიყვანონ 12,000 ფუთამდე.

გემი „ჩიჩერინი“ ვარნაში.

ოდესა. 9 მაისი. ოდესაში მიღებულია ცნობა, რომ გემი „ჩიჩერინი“ მივიდა ვარნაში. ვარნის მცხოვრებლებმა საზეიმო შეხვედრა გაუმართეს პირველ საბჭოთა გემს.

ბელორუსია.

ლტოლვა პარტიისაკენ.

მინსკი. 9 მაისი. ბელორუსიის სამაზრო კომიტეტების მდივნების თათბირზე აღნიშნული იყო მუშების პარტიისაკენ ძლიერი ლტოლვის ფაქტი. იაჩეიკებს მოსდით აუარება თხოვნები რუსეთის კომუნისტურ პარტიაში ჩარიცხვის შესახებ.

ახალგაზრდობის კომკავშირი.

მინსკი. 9 მაისი. მიმდინარე წლის განმავლობაში ახალგაზრდობის კომკავშირში შევიდა 1600 ახალი წევრი. ამდენივე წევრი შევიდა გასულ წელსაც.

თესვის ფრონტზე.

მინსკი. 9 მაისი. ბელორუსიაში შეუდგენ მინდვრის სამუშაოს. თესლის და ინვენტარის სიმცირეს ადგილი არ აქვს.

გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტი.

მინსკი. 9 მაისი. ბელორუსიაში მუშაობს 114 სათემო და 1714 სასოფლო ურთიერთ დახმარების კომიტეტი. კომიტეტებს მოეპოვებათ ფონდი 24,000 ფუთი ჭვავის რაოდენობით.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვა ვითარდება

პარიზი. 8 მაისი. გაფიცვა ელფებში ვითარდება. მოელიან „ლიონის კრედიტის“ მუშა-მოსამსახურეების გაფიცვას.

რკინის გზელების გაფიცვა.

პარიზი. 8 მაისი. ბელგიის რკინისგზელების გაფიცვა გრძელდება, მიუხედავათ შემთანხმებელთა მიერ ხელის შეშლისა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ფოთი.

ახალი მიწამღლები.

ფოთი. 10 მაისი. ფოთის ნავთსადგურში შეაკეთეს და ჩაუშვეს წყალში ახალი მიწამღლები, რომელსაც ნავთსადგურის სიმაღლე შეუძლია გააღრმავოს 30 ფუტამდი. მიწამღლები გაიგზავნება ბათომში საჭირო სამუშაოს შესასრულებლად.

გემების სადგომის შეკეთება.

ბათომი. 10 მაისი. მუშაობა ყოფ. რუსეთის გემების სადგომის შესაკეთებლათ კარგათ მიმდინარეობს. მთელი მუშაობა დამთავრდება ორი თვის განმავლობაში.

აფხაზეთი.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

სოხუმი. 10 მაისი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს წინასწარ მუშაობას ზაფხულის თვეებში სასოფლო-სამეურნეო აღწერის მოსახდენათ. ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო ადგენს იმ პირების—სოფლის მასწავლებლების, საბჭოთა მოსამსახურეების და სტუდენტების სიას, რომლებმაც წინა აღწერაში მიიღეს მონაწილეობა, რომელთა მოწვევა აღწერის დროს სამუშაოთ ხელს შეუწყობს აღწერის წარმატებას.

აჭარა.

ბათომი. 9 მაისი. აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ საბოლოვოთ დაამტკიცა აპრილ-ივნისის ხარჯთ აღრიცხვა. შემოსავალი ნავარაუდევია 10.507.000 მან., გასავალი—438.120 მილ. დეფიციტი უდრის 427.613 მილ. მან. ხარჯების უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ქალაქის საალმშენებლო განყოფილებას, ცენტრ. ალმასრულებელ კომიტეტს, სახალხო განათლების კომისარიატს, სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს და სხ.

აჭარისტანი მოსკოვის ბაზრობაზე.

ბათომი. 9 მაისი. აჭარისტანის საგამომფენო კომიტეტმა მიმართა ცენტრს—ტფილისს და სთხოვა გაადიდოს ასიგნობა, მოსკოვში ექსპონანტების გასაგზავნად, რათა ყოველმხრივ იყოს წარმოდგენილი ადგილობრივ სასოფლო მეურნეობის განვითარების დონე.

აზერბეიჯანი

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კლუბი.

ბაქო. 10 მაისი. 13 მაისს განათლების სახლთან ბაქოში გაიხსნება ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კლუბი.

სპარსეთი და ბაზრობა.

ბაქო. 10 მაისი. სპარსეთის ბაზრის მისაზიდათ ბაქოს ბაზრობაზე, საგამოფენო კომიტეტმა გაგზავნა სპარსეთში ორი წარმომადგენელი: ერთი მაზანდარისა და მეორე გილიანის პროვინციაში.

ამავე მიზნით იგზავნება რწმუნებულები თურქესტანსა, ხივასა და ბუხარაში.

პროფესიონალურ მოძრაობის კურსები თურქებისათვის.

ბაქო. 10 მაისი. აზერბეიჯანის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ გახსნა პროფ.-მოძრაობის კურსები თურქულს ენაზე.

წყლის სტიქიასთან საბრძოლათ.

სალიანი. 10 მაისი. სალიანის მაზრაში არაქსი ადიდდა 1921 წლის დონემდი, სოფ. მურგუზალის ახლო წყალმა გადმოხეთქა, მიღებულია ზომები წყლის შესაჩერებლად.

პარტიული კონფერენცია.

ბაქო. 10 მაისი. 5 ივლისს გაიხსნება მეთორმეტე საქალაქო პარტიული კონფერენცია.

ინვალიდების დახმარება.

ბაქო. 10 მაისი. 15 მაისს მთელს აზერბეიჯანში დაიწყება ომის ინვალიდების დახმარების კვირა.

სომხეთი

ბოტანიკური ბაღი.

ერევანი. 10 მაისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა მიმართა ერევნის ქალაქის ალმასკომს თხოვნით, რათა აღებულ იქნეს რამოდენიმე დანგრეული სახლები ბოტანიკური ბაღის ქალაქთან შესაერთებლად. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის თხოვნა დააკმაყოფილა ალმასკომმა.

ერევნის აღდგენა.

ერევანი. 10 მაისი. ერევნის ქალაქის ალმასკომმა შეადგინა აქტები 80 სახლზე, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფო შეკეთებას.

სკოლების აღდგენა.

ერევანი. 10 მაისი. სკოლების შენობათა შესაკეთებლად გადადებულია 15 მილიარდი მანეთი, რომელთაგან 9 მილიარდი მიეცა განათლების სახალხო კომისარიატს.

განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა ტფილისში დახარჯა მისთვის გადაცემული ფულის ნაწილი სხვა და სხვა გვარი სალებავების და ცემენტის შესასყიდად.

ახალი სკოლა.

ერევანი. 10 მაისი. სოფელ ამამლიდან დეპეშით აცნობებენ განათლების სახალხო კომისარიატს, რომ 1 მაისს იქ საძირკველი ჩაუყარეს სკოლის შენობას. გლეხობა დარწმუნებულია, რომ მთავრობის დახმარებით ის შესძლებს ახლო მომავალში სკოლის შენობის დამთავრება აგებას.

თესვის კამპანია.

ერევანი. 10 მაისი. ერევნის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას თავის განკარგულებაში მოეპოვება 1500 დეს. მიწა, რომელზედაც შესაძლებელია 2.000.000 ფუთი მარცვლეულის მოყვანა.

პარტიული ცხოვრება

კვირას ა. წ. 13 მაისს,
ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის
სტუდენტთა კლუბის დარბაზში
(ყოფ. არტისტიულ სა—ბის საკონცერტო დარბაზი)
დანიშნულია

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი:

1) სტუდენტთა წარმომადგენლების კომიტეტის ცენტრალურ ბიუროს მოღვაწეობის ანგარიში.
2) ცენტრბიუროს ახლობელი ამოცანები.
3) ცენტრბიუროს არჩევნები.
4) მიმდინარე საქმეები.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.
დასაწყისი დილის 11 საათზე
ცენტრბიუროს პასუხისმგებელ მდივანის მოადგილე
ს. სტეპანოვი.

საქალაქო კრება

ქ. ტფილისის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა კომუნისტ სტუდენტებისა, დანიშნული კვირას, 13 მაისისთვის, გადაიდო.
შემდეგი კრება ცალკე გამოცხადდება.
კომუნ.-შრომის ცენტრ. ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: **სტეფანოვი.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა უმუშევარ ამხანაგებს, ვინც კი ჩაწერილია ტფილისის კომიტეტში, ორშაბათს, 14 მაისს გამოცხადდენ საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილებაში.

ვინც არ გამოცხადდება, ამორიცხული იქნება უმუშევართა სიიდან.

საორგ.-საინფორმაციო განყოფილების გამგის მაგიერ **ი. ჯანელიძე.**

— წინადადება ეძლევა ნესტორ გოგოლაძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცენტრალურ კომიტეტის საარიცხვო-სასტატისტიკო განყოფილებაში.

ცენ. კომ. საარ.-სასტატ. განყოფილების გამგე: **ლიცინოვი.**

პარტიული მუშაობა ახალციხის მაზრაში მარტში.

(დასასრული იხ. „კომ.“ № 105).

მუშაობა ქალთა შორის. საანგარიშო თვეში მუშაობა ქალთა შორის მიმდინარეობდა ნაყოფიერათ, 5 მარტს მოწყობილ იქნა საერთო კრება მუშა ქალებისა, რომელსაც დაესწრო 50 ქალი, დღის წეს-რიგში იდგა საკითხები: ოჯახი წარსულში და აწმყოში (კომუნისტურ საზოგადოებაში) და არჩევნები დელეგატებისა უპარტიო ქალთა კონფერენციისათვის. 8 მარტს, ქალთა დღეს შესდგა სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დასწრენ დელეგატები სოფლებიდან. აქ პირველათ გამოდის უპირსაფაროთ მუსულმანი ქალი, რომელიც ხაზს უსვამს თავის წარსულს და ეხლანდელ მდგომარეობას. საღამოს ქალთა განყოფილების მიერ მოწყობილ იქნა უფასო წარმოდგენა, სადაც მიწვეულ იყვნენ დელეგატი ქალები. უკანასკნელნი ღებულობდენ მონაწილეობას საღამოში სცენაზე გამოსვლით, სიმღერითა და სხვა. ამას გარდა ახალციხის ქალი ღებულობს აქტიურ მონაწილეობას ანტი-რელიგიურ კამპანიაში. მაგ.: იმ კრებაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ეკლესიების შესახებ, გამოვიდა ერთი ქალი, რომელმაც გაილაშქრა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ბევრი მუშა ქალები მოდიან ქალთა განყოფილებაში თხოვნით, რათა ისინი მიღებულ იქნენ პარტიაში. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ამტკიცებს რომ ვინაიდან წვრილ ბურჟუაზიული სულის კვეთებით, აღზრდილი ქალიც კი გრძნობს, თუ რას წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

ქალთა განყოფილებაში მუშაობს მუსულმანი ქალი; უკვე ერთი თვეა, რაც ის ხელმძღვანელობს მუშაობას სამ თემში და ინფორმაციიდან სჩანს, რომ მუშაობას ნაყოფიერი შედეგი მოაქვს ახალციხის მუსულმან ქალთა გათვითცნობიერებაში.

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. კავშირი პარტიისა ახ. კომკავშირთან მოგვარებულია და ხორციელდება წარმომადგენლობის გზით: კომკავშირის სამაზკომის მდივანი შედის წევრათ პარტკომში, ეწყობა საერთო კრებები კომპარტიისა და კომკავშირისა, ცოტათ თუ ბევრათ საინტერესო კითხვები სწყდება თანხმობით. ანტირელიგიურ კამპანიის ჩატარებაში კომკავშირმა მიიღო მხურვალე მონაწილეობა. საერთოდ ახალციხის ორგანიზაციაში დამოკიდებულება კომპარტიისა კომკავშირთან სრულიად დამაკმაყოფილებელია.

მუშაობა პროფკავშირებში. საანგარიშო თვეში მუშაობამ პროფკავშირებში საგრძნობლად წინ წაიწია. კავშირი პროფკავშირებს, კომპარტიას და კომკავშირს შორის მტკიცეა. ყველა პოლიტ-კამპანიები ტარდება მჭიდრო კონტაქტში პარტიასა და კომკავშირთან, მაგ. ანტირელიგიური კამპანია, რომელშიც პროფკავშირებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა. ამ ჟამად პროფკავშირებში მოწყობილია 3 სკოლა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ ადგილობრივ ენებზე. მეცადინეობა მიმდინარეობს მომზადებული პარტამხანაგების ხელმძღვანელობით. კლუბთან მოწყობილია სტუდიები: მუსიკის და გალობისა. ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას 2 პოლიტწრე სომხურ და ქართულ ენებზე.

საბჭოთა აღმშენებლობა. მუშაობა სამაზრო ალმასკომისა მიმდინარეობს სრულ კონტაქტში პარტკომთან, ყველა წევრები ალმასკომის პრეზიდიუმისა შედიან სამაზრო პარტკომის შემადგენლობაში. მიწის რეფორმის გატარება ჯერ არ დამთავრებულა, ამიტომ შედეგებიც ჯერ შეუძლებელია გამოვარკვიოთ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი თბილისში.

(11 მაისი)

ოქროს 10 მან.—16,100 ათასი.
ჩერვონეცი — — 9,850 ათასი.
გირ. სტერ. (ჩეკ.) 8,300 ათასი.
დოლარი „ 1,900 ათასი.
ოსმ. ქაღ. ლირა— 1,410 ათასი.

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ქალაქებში.

პეტროგრადი—740 მილ.
ხარკოვი— — —785 „
მინსკი — — —750 „

მთლიანი მუშათა კოოპერატივის ფასები.

(10 მაისი).

თეთრი პური—25 ათ. ფხვნილი შაქარი წევრთათვის—260 ათას, საპონი „ტოლლე“—230 ათ. ადგილობრივი მარმარ. საპონი—230 ათ. წვრილი მარილი—35 ათ. ასანთი—20 ათ. ლობიო—18-23ათასი.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო თავისი ბათომის განყოფილების საშუალებით აგზავნის საზღვარ-გარეთ ძირტკბილას მორიგ პარტიას—1000 ტონას.

ცეკავშირი.

საზღვარ-გარეთიდან ცეკავშირი მოელის ექვსი ვაგონი გოგირდის მიღებას საქართველოს მევენახეთა საჭიროებისათვის.

ავტომობილების შეძენა.

ამიერ კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო საზღვარ-გარეთიდან მოელის „ფიატის“ სისტემის ათ ავტომობილს. ავტომობილები შეიძინა სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს წარმომადგენელმა იტალიაში.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა საბჭოში

მცხეთის აგარაკათ გამოცხადება

პროფკავშირთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ს. ც. ა. კ. წინაშე დაბა მცხეთის აგარაკად გამოცხადების და მის განკარგულებაში დასასვენებელ სახლის მოსაწყობად ყოფილ ოლღის მონასტრის შენობის გადაცემის შესახებ.

ადგილების განაწილება დასასვენებელ სახლებში

პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა დასასვენებელ სახლებში ადგილების განაწილების საკითხი დასვას პრეზიდიუმის უახლოეს სხდომაზე კავშირების ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენლების თანდასწრებით.

შორაპნის შავი ქვის ტვირთმზიდავ არტელის შესახებ

საქ. პ. კ. საბჭოს სამდივნომ დაადგინა: შორაპნის შავი ქვის ტვირთმზიდავ არტელის სრული გადახალისება მოხდეს და ჩაირიცხოს იგი ტრანსპორტზე მომუშავეთა ტრანსპორტში.

მომხსენებლები სრ. საქ. პროფკავშირთა ყრილობაზე

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე მომხსენებლებად გამოვლენ ამხ. ყურულაშვილი (ს. პ. კ. ს. ანგარიში), ამხ. იაშვილი (შრომის კომისარიატის მოქმედების შესახებ), ავაქოვი (მრეწველობის მდგომარეობა), ბახუტოვი (საორგანიზაციო საკითხები) და ყურულაშვილი—კულტ-მუშაობის შესახებ. ყველა მოხსენებები განსახილველად წარდგენილ უნდა იქნას 15 მაისამდე.

გემო-კვების კავშირში

კოლექტიურ ხელშეკრულებისათვის

გემო-კვების კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ წინადადება მისცა წისქვილების მფლობელთ დაუყოვნებლივ დადვან ხელშეკრულება მუშა-მოსამსახურეებთან. განზრახულ კოლ. ხელშეკრულებაში ხელფასის მინიმუმი უდრის 10 საქონლის მანეთს. და აგრეთვე მასში ნაგულისხმევია მუშა-მოსამსახურეთა სამსახურიდან დათხოვის დროს სალიკვიდაციო ფულის მიცემა სამსახურის სტაჟის მიხედვით.

მეტყევეთა კავშირში

სესხის გაცემის წესი

მეტყევეთა კავშირის ურთიერთდამხმარე კასის ბიურომ დაადგინა სესხად გასაცემ თანხის რაოდენობა განისაზღვროს 10 საქონლის მანეთით. იმავე ბიუროს დადგენილებით ყოველგვარი განცხადება სესხის მიღების შესახებ მიიღება მხოლოდ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საშუალებით, რომელთაც უნდა დაადასტურონ თუ რამდენად ესაჭიროება მთხოვნელს სესხი.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში

პლენუმის მოწვევა

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის დადგენილებით 19 მაისს მოწვეული იქნება ცენტრ. გამგეობის პლენუმი.

პროფკურსები

ახლო მომავალში ცეცხლის მქრობელთა რაზმისათვის გახსნილი იქნება სპეციალური კურსები, სადაც ისინი შეისწავლიან ზედმიწევნით თავიანთ პროფესიას.

პროფმუშაობა პროვინციაში.

რადგან პროვინციაში პროფმუშაობა მიმდინარეობს მეტად სუსტად და რაიგამგეობების დადგენილებები არ ტარდება ცხოვრებაში, პრეზიდიუმმა გადასწყვიტა გაგზავნოს ერთ ერთი პრეზიდიუმის წევრი პროფმუშაობის გასავრცელებლად და ხელმძღვანელობის გასაწევად.

კულტ-მუშაობისათვის.

კულტ-მუშაობის გასაძლიერებლად პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა პოლიტ განათლების მთავარ მართველობის წინაშე, რათა მან ნება დართოს პრეზიდიუმს მოაწყოს ფასიანი წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაიდება კულტ-მუშაობისათვის.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

კოლექტ. ხელშეკრულება საქართვ. სამხედრო კოოპერატივთან.

კავშირის პრეზიდიუმი მოლაპარაკებას აწარმოებს საქართვ. სამხედრო კოოპერატივთან კოლექტიურ ხელშეკრულების დასადებლად. უმცირეს ხელფასად უნდა დაწესდეს 9 საქ. მანეთი.

სატარიფო ეკონომიურ განყოფილებაში.

სატარიფო ეკონომიურ განყოფილებამ აპრილის თვის განმავლობაში დასდო ხელ-ახალი კოლექტიური ხელშეკრულება შემდეგ დაწესებულებებთან: ტრამვაისთან, წყალსადენთან, აბანოებთან. ცეცხლის მქრობელ რაზმთან და სხვა კომუნალურ მეურნეობის ხასიათის დაწესებულებებთან.

პროვინციაში.

კავშირმა აპრილში დაათვალიერა ბათომის განყოფილება, განაახლა კოლექტიური ხელშეკრულებები და განახლების დროს ანგარიში გაეწია ადგილობრივ ეკონომიურ პირობებს.

ქრონიკა

ქალაქის ალმასკომში.

— **ქალაქის ალმასკომის შენობის შეკეთება.** წინადადება მიეცა საალმშენებლო განყოფილებას შეადგინოს საჭირო ხარჯთ აღრიცხვა ქალაქის შენობის შესაკეთებლად.

— **დახმარება.** მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გურიაში ბანდიტების მიერ მოკლულ ამხ ჩუბინიძეს ოჯახს მიეცეს ერთდროული დახმარების სახით 20 მილიონი მანეთი.

— **მიწა ამხ. „მუშა ფუტკარს“.** ალმასკომის დადგენილებით დიდუბის მშრომელ ამხ. „მუშა ფუტკარს“ ტრამვაის მუშებთან სადაო მიწიდან მიეცა 200 ოთხკუთხი საჟენი მიწა, პირობით, თუ აღნიშნული ამხ. იქ ააგებს საცხოვრებელ სახლებს.

— **შენობის გადაცემა.** ტფილისის ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამხ. ტროცკის სახელობის მუშათა სახლების აღმშენებელ ამხანაგობას გადაეცა კუთვნილი ძველი სასაკლაოს დიდი შენობა თავის საჭიროებისათვის.

— **შუამდგომლობა.** ცენტრ. საალმშენებლო განყოფილებამ, რომელიც ამ ჟამად აშენებს ამხ. ლენინის სახელობის მუშათა ახალშენს,—შუამდგომლობა აღძრა ალმასკომის წინაშე გაუდიდოს თვიური დახმარება 250 მანეთამდე ოქროთი.

რკინის გზაზე.

— **დახმარება.** ამიერ-კავკ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივის გამგეობამ ჰაეროპლან „ზარია ვოსტოკას“ ფონდის გასაძლიერებლად და პირველ მაისისათვის გაწეულ ხარჯების დასაფარავად გადასდო 70 მანეთი ოქროთი.

— **საქონლის მიღება.** ა.-კ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივი ამ დღეებში რუსეთიდან მიიღებს 2 ვაგონ მანუფაქტურას, ჭურჭეულობას და ერთ ვაგონ ფეხსაცმელებს. საქონელი შეღავათიან ფასებში გაუნაწილდება კოოპერატივის წევრებს.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევართა კვირეული.** შრომის ბირჟის კომიტეტი ამ დღეებში მოაწყობს არმიიდან განთავისუფლებულ უმუშევრათ დარჩენილ ჯარისკაცთა კვირეულს. კვირეულის ნაყოფიერად ჩასატარებლად დაწყებულია სათანადო სამზადისი.

— **უმუშევრები.** 18 მაისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 992 უმუშევარი, ჩაეწერა ამავე დღეს 11, გაიგზავნა სამუშაოზე 58, აქედან 19 ქალი და 39 კაცი.

კრებები და მოხსენებები

უდინთა დამხმარე საზოგადოებაში. დღეს, საღამოს 5 საათზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის შენობაში, რუსთაველის პროსპ. № 24, მე-3 სართული, შესდგება ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოების გამგეობის სხდომა.

პრეზიდიუმი სთხოვს გამგეობის ყველა წევრები აუცილებლად დაესწრონ სხდომას.

შემთხვევები.

— **გაქურდვა.** ნიკოლოზის ქ. № 25 ლიზა მიხეილ ლასტერის ასულის ბინიდან ქურდებს გაუტანიათ 400 მილიონის საქონელი.

— პასი-კროშკის შესახვევში № 13 ბარბალე გრიგოლ ლოგოკოვის ასულის ბინიდან პატრონის შინ არ ყოფნის დროს ქურდებს მოუპარავთ 380 მილიონი მანეთის ნივთეულობა.

— საპიორის ქ № 26 ვიღაც ბოროტ-მოქმედებს მომრგები გასაღებით გაუღიათ ანნა იორდანე ჯემსონის ასულის ბინა, საიდანაც მოუპარავთ 300 მილიონად ღირებული საქონელი.

— კამოს ქ. № 12, ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო საზოგადოების აბოზის სახაზინო ეტლის თვლებიდან ვიღაც ბოროტ-მოქმედებს მოუხსნიათ და წაუღიათ რეზინის შინები.

— ბასგაროვის ქ. № 10, ბოროტმოქმედებს გაუღიათ ივანე ექვთიმეს ძე ხელაძის ბინა, საიდანაც წაუღიათ სხვადასხვა ოქროს და ბრილიანტის ნივთები.

მკვლელობა.

8 მაისს, ღამის 10 საათზე ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა მოჰკლეს საგარეჯოს რკინის გზის სადგურზე სადგურის უფროსი მოქ. მდივანი.

ხელოვნება

კონცერტი პროფკავშირთა საბჭოში.

პროფკავშირთა საბჭოს მუშათა სასახლესთან არსებულ საკონცერტო დარბაზში შესდგა ვოკალურ კვარტეტის სასწრაფო კონცერტი სხვა მუსიკალურ ძალების მონაწილეობითაც. კვარტეტმა მოქ. შებუევის (ბასი), ფანიაშვილის (ბარიტონი)—იგივე განაგებს კვარტეტს, კარმაზანოვის და კრუტიკოვის (ტენორი) შემადგენლობით შეასრულა მთელი რიგი ensembles, რუსულ და ევროპიულ კომპოზიტორებისა.

საერთოდ შესრულება კარგია. სჩანს კვარტეტის მუშაობა, ხმოვანობის სწორი განაწილება, კარგი ფრაზიროვკა და დინამიური დასურათება (ნიუანსება). ხმები ახლებია. ყველა აღმსრულებელნი მუსიკალურებია,—მხოლოდ პირველი ტენორის პარტიის აღმსრულებელი (მოქ. კრუტიკოვი) ჯერ კიდევ ვერ არის დახელოვნებული და მისი ხმაც ტეხნიკურად ვერ არის განვითარებული ისე, რომ გაიტაცოს კვარტეტის სხვა მონაწილენიც. კვარტეტის მიერ შესრულებულ ნომრებიდან ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება დასტოვა შუმანის ნაწარმოებებმა: ტბამ, აბტის სერენადამ, ჩერეპნინის ლუკის სიმღერამ— და კიუის სამგზავრო სიმღერამ.

კვარტეტის ზოგიერთმა მონაწილეებმა შეასრულეს სოლოს ნომრები. მაგალითად მოქ. შებუევმა (კენემანის რომანსი: „როგორ მიდიოდა მეფე ომში“, შუბერტის რომანსი „წისქვილი“ და სხვა). კენემანის რომანსში საჭიროა ხაზის გასმა ომის უაზრობის ტენდენციისათვის, ომის, რომელსაც აბსოლიუტიზმი ქმნის. ერთის მხრივ მეფე და მრავალ ხალხის ტანჯვით შექმნილი მისი დიდება,—მეორეს მხრივ ჯარისკაცი სტახი და მისი ტანჯვა. აქ მაჟორი და მინორია და ეს ხაზგასმული უნდა იყოს. კონცერტში მონაწილე მომღერალ გოიკოვიჩს მშვენიერი ხმა აქვს (mezzo soprano), თუმცა არ შეიძლება თქმა, რომ მის მიერ შესრულება მხატვრული ყოფილიყოს, სიმღერაში არ შეიძლება ისეთი უეცარი დინამიური დასურათებების აღება (forte-დან pianissimo-საკენ),—ეს სხვა რომ არა ვთქვათ რა, მხატვრული არ არის. სიმღერა მოითხოვს ინტუიციის გამოხატულებას და არა რეგისტრიდან რეგისტრზე გადახტომას; რასაკვირველია, რომ დახელოვნებული მომღერალი ვერ გრძნობს ამას. აუდიტორიამ გაიგო სიმღერას არა მხატვრულად შესრულება და მომღერალი გოიკევიჩი, მიუხედავათ მშვენიერი ხმისა, ცივად მიიღო. მოქ. კრუტიკოვი ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პიანურზე დაკვრელია და ჩაიკოვსკის serenade Melancolique მის ძალღონეს აღემატება.

მუსიკოსი.

— **სახალხო სახლის დრამატიული დასის 30 წლის იუბილე.** ოთხშაბათს, 9 მაისს, სახალხო სახლის სარეპეტიციო დარბაზში გაიმართა საერთო კრება იმ პირთა, რომლებიც მოღვაწეობდნენ სახალხო სახლის დრამატიული დასის ირგვლივ. კრების მთავარი კითხვა იყო სახალხო სახლის დრამატიული დასის 30 წლის იუბილეის მოწყობა. იუბილეს გადახდა ერთხმად იქნა მიღებული და დაევალა გამგეობას ესდღე ფართე მასშტაბით და ღირსეულად იდღესასწაულონ 10 ივნისს 1923 წ.

— კვირას, 13 მაისს, რუსთაველის თეატრის კანტორაში დანიშნულია სახალხო სახლის დრამატიული დასის საიუბილეო კომიტეტის საერთო სხდომა სხდომაზე საბოლოოთ უნდა გამომუშავდეს იუბილეის მოწყობის გეგმა. დასის გამგეობა ყველა კომიტეტის წევრებს სთხოვს სხდომას აუცილებლივ დაესწრონ.

— **საიუბილეო კრებული.** გადაწყვეტილია სახალხო სახლის დრამატიული დასის იუბილეის დღეს გამოიცეს კრებული, რომელიც შემდეგი შინაარსის იქნება: 1) ისტორია სახალხო სახლის დასის 30 წლის მოღვაწეობისა; 2) დასში მყოფ და მოღვაწე ყველა პირთა სურათები და ბიოგრაფიები; 3) საერთო რეპერტუარის კრიტიკული განხილვა; 4) მოგონებები და სხვა მასალები.

— **წარმოდგენა მუშებისათვის.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება უფასო წარმოდგენა პროფკავშირის წევრებისათვის.

— **ალმასკომის დრამატ. სექციის საღამო.** დღეს, 12 მაისს, ყოფილ ქართულ კლუბში გაიმართება თბ. ალმასკომის დრამატიული სექციის საღამო წარმოდგენა თანამშრომელთა მონაწილეობით.

— **დრამატიული ტეხნიკუმი.** პროლეტკულტთან დაარსდა დრამატიული ტეხნიკუმი, რომლის მიზანია ახალგაზრდა მსახიობებისა და რეჟისორების მომზადება. მთავარ რეჟისორებათ მიწვეულნი არიან: კ. მარჯანიშვილი და ალ. წუწუნავა, რეჟისორებათ: ვახტანგ გარრიკი და დ. კობახიძე.

— **სახალხო სახლში.** დღეს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ყაზბეგი „ელეონორა“ გადმოკეთებული გერგესელის მიერ.

პროვინციაში

ანტირელიგიური კამპანია ზუგდიდის მაზრაში.

მთელი საუკუნოების განმავლობაში მუშათა კლასი და გლეხკაცობა საშინელი მონობის უღელ ქვეშ გმინავდა. თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და სამღვდელოება მჯღლაჯუნასავით დასწოლია მას კისერზე და გასაქანს არ აძლევდა. დიდწვერა სულიერი მამები ისედაც დაბეჩავებულ და გაძვალტყავებულ გლეხკაცობას უკანასკნელ გროშებს აცლიდნენ ჯიბიდან. მართალია, 1917 თებერვლის რევოლიუციამ წალეკა რომანოვების ტახტი, მაგრამ საუბედუროთ მუშათა კლასის ინტერესების გამყიდველი სოციალ-შოვინისტების წყალობით მან ვერ განკურნა მშრომელი მასსა საუკუნოებით მიყენებულ ღრმა ჭრილობებისაგან. წარმოიდგინეთ თქვენით, მთელი რვა თვის განმავლობაში მოლაღატე კერენსკი-წერეთლის ბურჟუაზიულმა კოალიციონურმა მთავრობამ რევოლიუციონური გზით ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფაც ვერ გაბედა. მხოლოდ და მხოლოდ ყოველნაირი ასეთი ვაკხანალიას რუსეთში ბოლო მოუღო ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ.

იმ დროს, როდესაც რუსეთის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა ამსხვრევდა ძველი დახავსებული წესწყობილების ნაშთებს, მონასტრებიდან და ეკლესიებიდან დიდი შოლტით ერეკებოდა გაიძვერა-გარყვნილ ბერ-მონაზნებს და სამღვდელოებას, დიდი ცოცხით წმენდდა ავგიისის თავლებს ყოველნაირი ნაგავისაგან, აი ამ დროს აქ, საქართველოში ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა ნეტარხსენებული ქათალიკოსი ლეონიდეს ლოცვა-კურთხევით განაგრძობდა მშრომელი მასის ძამონავება-დაბეჩავებას. მართალია მენშევიკურმა მთავრობამ სახელი გაითქვა და დიდი ენერგია გამოიჩინა მონასტრებიდან უთვალავი ოქრო-ვერცხლის ავაზაკურად გატაცება-მითვისებაში, მაგრამ სამი წლის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მათ გაეხსნათ „წმინდანების“ ნაშთი და ხალხისთვის ეჩვენებიათ, ამ ხნის განმავლობაში არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მათ გაეწიათ ანტირელიგიური პროპაგანდა მშრომელ მასაში, პირიქით ხელს უწყობდენ სამღვდელოებას და მუდამ იმის ცდაში იყვნენ, რომ რამენაირად თავიდან აეცილებიათ სულიერი მამების რისხვა და წყევლა-კრულვა.

დღეს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის დროს, რას ვხედავთ აქ? მთელს საქართველოში სჩქეს და ქუხს ანტირელიგიური პროპაგანდა—აგიტაცია, თითქმის ყველა მიყრუებული სოფლებიც კი აღფრთოვანებით ეგებებიან ამ პროპაგანდას, დიდის სიამოვნებით ერეკებიან ეკლესია-მონასტრებიდან სამღვდელოება—ბერ-მონაზნებს, მოითხოვენ მონასტრების და ეკლესიების სკოლებად და კლუბებათ გადაკეთებას.

ამ მხრივ არც ზუგდიდის მაზრა ჩამორჩენია საქართველოს სხვა მოწინავე კუთხეებს. ორი თვის განმავლობაში თვით გლეხკაცობამ მღვდლები განდევნა და დაკეტა 105 ეკლესია, ზოგი მათგანი სკოლებად გადააკეთა, საისტორიო განძეულობა ადგილობრივი მუზეუმს გადასცა. ჩვენს მაზრაში ხალხის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ყულის წმინდა გიორგის ეკლესია და ხობის მონასტერი. პირველში იყო „სასწაულთ მომქმედი“ წმინდა გიორგის ხატი და მეორეში წმ. მარინე და კვირიკეს ხელები. აუარებელი ხალხის თანდასწრებით ორივე იქნა ამხ. გ. როგავას მიერ გახსნილი. ყულის ეკლესიის წმ. გიორგის ხატი აღმოჩნდა უბრალო ჯვარი დაკრულული ხისაგან გაკეთებული, ვერცხლით მოჭედილი და ხავერდით შემოსილი ხობის მონასტერში აღმოჩნდა „წმინდა ნაშთების“ მაგიერ ვერცხლის ყუთში და პატარა ხის კუბოში ჩალაგებული გამხმარი კაცის მკლავი და ჩვილ ბალღის ხელის მსგავსი რაღაც; ფისა, ლრუბელი, ძვლები და ქვები,—მეტი არაფერი. ამ მიტინგს ოთხი ათასამდე ქალი და კაცი დაესწრო. სარწმუნოების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვეს მაზრკომის სახელით ამხ. გ. როგავამ და კომკავშირის სახელით ამხ. ა. კობახიძემ. ხალხის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა მიუხედავათ ბერ-მონაზნების მაგიერ გავრცელებულ ათასნაირი პროვოკაციისა, ხალხი დარწმუნდა მათ გაიძვერობაში, ერთხმად გაიძახოდა ძირს—ეკლესია-მონასტერი, ძირს მატყუარა სამღვდელოებაო. თითქმის ერთხმად გამოთქვა კრებამ სურვილი მონასტრის გაუქმების და ბერების გაძევების შესახებ. მეორე დღეს ამხ. როგავამ ჩამოიტანა ქ. ზუგდიდში ხობის მონასტრის „სიწმინდენი“, პარასკეობაზე ჩამოსულ გლეხ-კაცობას უჩვენა და სიტყვა წარმოსთქვა რელიგიის შესახებ.

ამნაირად ჩვენი მაზრის გლეხობამ დაგმო სარწმუნოება, რომელიც მთელი საუკუნოების განმავლობაში გონებას უჩლუნგებდა, ხელფეხს უბორკავდა მას და სამუდამოთ ზურგი შეაქცია ეკლესია-მონასტრებს. ის მიისწრაფვის სინათლისაკენ, ცოდნისაკენ.

გრიშა მეგრელი.

ნოქალაქევის რაიონი (სენაკის მაზრა).

საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაული, პირველი მაისი, ჩატარებულ იქნა ნაქალაქევის რაიონში შემავალ ნაქალაქევის, ლეძაძამის, ფოცხოს და უშაფათის თემებში. ამ დღესასწაულის ჩასატარებლად წინდაწინვე იქნა შედგენილი ყველა თემებში მომწყობი კომისიები, რომლებმაც გამოიჩინეს შესაფერი უნარი. მორთული იყო ყველგან დაწესებულებები საზეიმოდ, ყვავილებით და გირლიანდებით. დღესასწაულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უპარტიო გლეხობა და მასწავლებლები. ყველა თემებში მოეწყო მიტინგები, რომლებსაც უამრავი ქალი და კაცი დაესწრო. მიტინგების ჩასატარებლად გაიგზავნა ყველგან. თემებში პ. მგ. ამხანაგები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მშრომელი ხალხის ერთსულოვნება ამ მუშათა კლასის დღესასწაულის ჩატარებაში. მიტინგებზე მოდიოდნენ ყველა სოფლებიდან, კომუჯრედების მეთაურობით, სოფლის მცხოვრებნი ქალი და კაცი, მწკრივად, წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერებით. მოდიოდნენ აგრეთვე ყველა სკოლების მოწაფეები თავიანთი მასწავლებლების ხელმძღვანელობით; მოწაფეებს მოქონდათ თავიანთი პაწაწა ხელებით წითელი დროშები და მღეროდენ ინტერნაციონალს. მიტინგებზე ყველგან გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუციები, სადაც მშრომელები გულის წყრომით და წყევლა და კრულვით იხსენიებენ ბურჟუაზიას და მათ ლაქია მენშევიკებს და კამპანიას.

აღფრთოვანებით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობას და კომუნისტურ პარტიას და ფიცს სდებენ მათ წინაშე, რომ დაიცავენ მედგრად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და ივლიან იმ გზით, რომელსაც უჩვენებს მათ ჭეშმარიტი მუშათა კლასის ინტერესების დამცველი—საბჭოთა მთავრობა და მისი ხელმძღვანელი კომუნისტური პარტია.

პირველ მაისს საღამოს მოწყობილი იქნა აგრეთვე ყველა თემებში უფასო წარმოდგენები თანამედროვე პიესებით; წარმოდგენებს აუარებელი ხალხი დაესწრო.

ალ. ჯოჯუა.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო კრებული
„ჩვენი მეცნიერება“

ქართული უნივერსიტეტი, რომელსაც სულ ხუთი წლის ისტორია აქვს, უკვე გახდა მეცნიერების ნამდვილ ტაძრად, სადაც თავი მოიყარა საუკეთესო მეცნიერულმა ძალებმა და გააჩაღეს ლაბორატორია-კაბინეტებში განუწყვეტელი მუშაობა.

ამ მუშაობის და კვლევა ძიების შე

მუშათა ცხოვრება

ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშები და ტუბერკულიოზის სამდღეული.

ამა წლის 5 მაისს აღნიშნულ ქარხანაში წაკითხულ იქნა ექიმ აბაკელიას მიერ ლექცია ტუბერკულიოზის შესახებ.

ლექცია მეტად შინაარსიანი იყო და წაკითხული გასაგებ ენაზე, ქართულად და რუსულად ის ფრიად საინტერესო აღმოჩნდა მუშებისთვის. ამხ. ლექტორმა აღნიშნა ტუბერკულიოზის (ჭლექის) უაღრესად პროფესიული ხასიათი და მოუთხრო მსმენელებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ამ ჟამად დასახული აქვს მთავრობას. ჭლექთა ბრძოლის ოპერაციებს ხელმძღვანელობს ჯანსახკომის „ტუბსექცია“, რომლის უახლოეს მიზანს შეადგენს: განსაკუთრებული ამბულატორიის, საჩვენებელ გამოფენების, მუზეუმების, სანატორიუმების, საბავშო სახლების, დასასვენებელ სახლების გახსნა-მოწყობა. გახსნილ ამბულატორიებში დასნეულებული მუშა-მოსამსახურეები მიიღებენ უფასო რჩევას და დახმარებას.

ლექციის მოსმენის შემდეგ, მუშებმა ერთხმად დაადგინეს—გადარიცხონ „ტუბსექცი“-ის განკარგულებაში ნახევარი დღის შრომის ხელფასი ასეთ ფრიად საჭირო საქმისათვის და გამოსთქვეს სურვილი ასეთი ლექციების უფრო ხშირად მოსმენის შესახებ.

მუშკორ ა. ნ.

ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფ. მომუშავეთა შორის.

ჩვენი მუშაობა გამოიხატება ქალაქის ბაღების, საწერვების, სკვერების და ფერმების კეთილ-მოწყობაში.—მუშა-მოსამსახურეების რიცხვი უდრის 115 კაცს, მათშორის 7 ქალია. ჩვენი მუშაობა სხვადა სხვა ნაირია და მძიმე.—ჯამაგირებს გვაძლევენ კოლექტიურ ხელშეკრულებით ყოველთვის თავის დროზედ, რისთვისაც მუშები კმაყოფილი არიან; მაგრამ ჯამაგირები მცირეა. მიუხედავათ ამისა უნდა აღვნიშნო, რომ, მუშების ეკონომიური პირობები უმჯობესდება.

შრომის დაცვა დამაკმაყოფილებელია.—ადგილკომი მუშაობს კარგათ და იცავს მუშების ინტერესებს მტკიცედ.—„პოლიტწრე“ არსებობს და პროფკავშირებთანაც მჭიდრო კავშირი გვაქვს. კულტურული მუშაობა დღითი დღე უმჯობესდება; წერა-კითხვის უცოდინარებისათვის სკოლა არის გახსნილი, სადაც მეცადინეობენ 25 კაცი; დანარჩენი „ბაღ სკვერების“ მუშები სწავლობენ ახლო-მახლო რაიონების სკოლებში. გარდა არის გახსნილი მუშებისათვის ორი სამკითხველო, რისთვისაც არის გამოწერილი 43 გაზეთი: 15 „კომუნისტი“ 18 „რაბოჩაია პრავდა“ 11 „მუშა“ 2 სომხური გაზეთი 2 „ზარია ვასტოკა“.

მუშა ა. იორდანიშვილი.

მთლიანი სამხედრო-კოოპერატივის ხე-ტყის ქარხანა.

ეს ქარხანა ეკუთვნის ქართულ წითელ ლაშქარს. სულ 8—9 თვეა, რაც დაარსდა ეს ქარხანა. აქ მუშაობს 22 კაცი. ამათგან 3 ასრულებს ზედამხედველობისა და კანცელარიის საქმეს. 4 მუშაობს მანქანაზე და დანარჩენები „სტანოკებზე“ და უბრალო სამუშაოზე. აქ არსებობს ადგილკომი დღიდან ქარხნის დაარსებისა—4 კაცისაგან შემდგარი. მუშებსა და მთავარ გამგეობის შორის, იყო დადებული კოლექტიური ხელშეკრულება, რომელსაც ვადა გაუვიდა ა. წ. 15 აპრილს. შემდეგი ხელშეკრულება დაიდება ახლო-მომავალში. დადებული კოლექტიური ხელშეკრულების პირობები ორივე მხრით კეთილსინდისიერად სრულდებოდა. მხოლოდ ერთი პირობა ამათგან დარჩა შეუსრულებელი თვით ადმინისტრაციის მიერ,—ეს არის—„სპეცტანთსაცმელი“ მუშებისათვის, რომელიც, თანახმად კოლექტიური ხელშეკრულებისა უნდა მიეღოთ მათ, მაგრამ ნამდვილად კი არ აქვთ მიღებული. ასეთი სახმარი ტანსაცმელი მეტად საჭირო და აუცილებელია ამ დარგის მუშებისათვის და ეს პირობა აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული ადმინისტრაციის მიერ. დაუშვებელია და შეუძლებელი—მუშებმა იმუშავონ თავის ტანისამოსებით ამ სიძვირის დროს და შრომის ხელფასის სიმცირის გამო.

მუშკორი ძველთაგანი.

მუშა-მსახიობის საიუბილეო საღამო ნაძალადევში.

სამშაბათს, 8 მაისს ნაძალადევის დრამ. წრემ გაუმართა საიუბილეო საღამო მუშა-მსახიობს, ამხ. სანდრო ჩიტაძეს. ამხ. ჩიტაძეს მართლაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ნაძალადევში მცხოვრებ მუშების წინაშე. მის როლს შეადგენენ ჩვენებური ქართველი-„ტეტიები“, რომელიც ცოცხლად განსახიერებული არიან მასში. ჰ. ფრანგიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა—„ორი დარაჯი“ დრ. 3 მოქმ. და „დედის ერთა“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. მოთამაშეთ საერთოდ როლების უცოდინარობა ეტყობათ, რაც სრულებით არაა დასაშვები მუშათა თეატრებში. ამისამიტომ წარმოდგენას საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო, რაც უნდა ჩაითვალოს თეატრის დირექციის მოუნდომლობის და დაუდევრობის შედეგად. ამხ. ჩიტაძეს კი უსურვებთ დღეგრძელ სიცოცხლეს და უფრო მეტს ნაყოფიერ მუშაობას.

მუშკორი ვახო როინიშვილი.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს!

კითხვა: როგორ უნდა გადიხადონ მუშა-მოსამსახურეებმა ბინის ქირა მიმდინარე წლის პირველ მაისიდან?

პასუხი: მიმდინარე წლის პირველ მაისიდან მუშა-მოსამსახურენი ბინის ქირას იხდიან თანახმად თბილისის საბჭოს დადგენილებისა № 11, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტი“-ს № 102-ში (8 მაისი 1923 წ.).

კითხვა: აღნიშნულ დადგენილებით უქმდება თუ არა იმავე საბჭოს წარსულ წლის 29 ივლისის თარიღით გამოქვეყნებული დადგენილება № 8 (საბინაო ქირის გადახდევინების შესახებ).

პასუხი: ახალი დადგენილებით № 11—სრულიად გაუქმებულია უწინ მომქმედი დადგენილება № 8—ყველა მასთან დამატებითი დადგენილებებით.

კითხვა: საბინაო ქირის რაოდენობის განსაზღვრის (დაწესების) დროს იღებს მხედველობაში თუ არა ახალი დადგენილება —1) შრომის ხელფასის რაოდენობას, 2) საცხოვრებელი ბინების სივრცე სიდიდეს და 3) მათი ადგილმდებარეობას?

პასუხი: ახალი დადგენილება № 11 სრულიად ითვალისწინებს—1) მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასის (ძირითადი ჯამაგირის) რაოდენობას, 2) საცხოვრებელ ბინის კვადრატურას (სივრცეს) და 3) საცხოვრებელ ბინების ადგილ-მდებარეობას—(თუ სად არის ისინი მოთავსებული—ცენტრში, —(ქალაქის შუაგულ ადგილებში) თუ განაპირა ადგილებში).

ამ გვარად ახალი დადგენილების ძალით, საბინაო ქირას მეტის რაოდენობით იხდის ის მუშა-მოსამსახურე, რომელიც იღებს თვეში (ძირითად) ჯამაგირს, ანუ სცხოვრობს ქალაქის შუა-გულ და თვალსაჩინო ადგილებში (როგორიცაა—მაგალითად, სოლოლაკის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტის მიდამოები და სხვ.) და რომელსაც უჭირავს დიდი ბინები.

კითხვა: რამდენი კატეგორიებად არიან დაყოფილი ბინის ქირის გადამხდელები?

პასუხი: საიჯარო ქირის გადახდის მხრივ გადამხდელები იყოფიან 22 კატეგორიად, ამ რიცხვიდან—პირველიდან დაწყებული ოცდაერთი კატეგორიამდე ეკუთვნით მუშა-მოსამსახურეთ,—დანარჩენი მოქალაქენი ჩარიცხულ არიან მე 22-ე კატეგორიაში.

კითხვა: ვინ იხდის ბინის ქირას პირველ კატეგორიით?

პასუხი: პირველი კატეგორიის გადამხდელთა სიაში ირიცხებიან—1) ყველა ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ საქონლის ხუთ მანეთს და რომელთა **თვიური ჯამაგირი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით მიმდინარე წლის აპრილს თვეში არ აღემატებოდა ექვს მილიონ მანეთს.** ამავე კატეგორიას ეკუთვნიან: 1) **უმუშევრები**, რომელთაც აქვთ შრომის ბირჟიდან სათანადო მოწმობები, 2) წითელ-არმიელთა ოჯახების უმუშევარი წევრები და 3) ყველა სოციალური უზრუნველყოფაზე მყოფი ინვალიდები.

მეორე კატეგორია.

ამ კატეგორიით იხდიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ საქონლის ხუთიდან ათ მანეთამდე და რომელთა ჯამაგირები აპრილის თვეში ამიერ-კავკასიის ბონებით არ იყო 6 მილიონ მანეთზე ნაკლები, მაგრამ არ აღემატებოდა თორმეტ მილიონ მანეთს.

მესამე კატეგორია.

ამ კატეგორიით იხდიან ის მუშა-მოსამსახურეები, რომელნიც თვეში იღებენ ჯამაგირს საქონლის 10 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 15 მანეთისა, რომელთაც აპრილის თვეში ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით მიიღეს 13—18 მილიონ მანეთამდე.

მეოთხე კატეგორია.

ამ კატეგორიით იხდიან ბინის ქირას ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვეში იღებენ საქონლის 15 მანეთზე მეტს, მაგრამ არა უმეტეს საქონლის 20 მანეთისა, რომელთაც აპრილის თვეში ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით მიიღეს 19—24 მილიონ მანეთამდე.

(გაგრძელება იქნება)

მუშათა ქრონიკა

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.

— **მე-4-ე რაიონის შრომის ინსპექტორმა** შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის სახალხო სასამართლოს გადასცა.

— **1. ღვინის საწყობის პატრონი გიორგი კანდაშვილი.** (19 თებერვლის ქუჩა № 80), რომელმაც სამსახურიდან დაითხოვა წინასწარ გაუფრთხილებლად და სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად მოზარდი ქალანთაროვი, რომელიც დაზღვეულიც არ ჰყოლია.

— **2. საყასბოს პატრონი ალექსანდრე უღუხაშვილი** (პუშკინის ქ. № 23), იმის გამო, რომ სამსახურიდან დაითხოვა მოზარდი არუტინოვი, რომელსაც დაწესებულ დროზე მეტს ამუშავებდა და დაზღვეულიც არ ყავდა.

დები დრო გამოშვებით უკვე გამოდის მზის სინათლეზე ცალკე წიგნებათ და მეცნიერულ ჟურნალებათ, რომლითაც ასე ღარიბია ქართული ლიტერატურა.

ამას წინათ ამ უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორების მონაწილეობით გამოვიდა კრებული „ჩვენი მეცნიერება“ რომელიც მეტად საინტერესო მასალას შეიცავს და ვინც დაინტერესებულია სხვა და სხვა მეცნიერული საკითხებით, აუცილებლად გაეცნობა მას.

ჟურნალი გამოვიდა უნივერსიტეტის არსებობის ხუთი წლის თავზე და სამეცნიერო წერილებს გარდა, შიგ მოთავსებულია სურათები უნივერსიტეტისა და მისი ღერბისა, პროფ. ჯავახიშვილის, პ. მელიქიშვილის და ა. ცაგარელის სტატისტიკური ცნობები და სტუდენტთა და პროფესორთა რაოდენობის შესახებ, ქრონოლოგიური სია უნივერსიტეტის გამოცემების და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მდგომარეობა.

დაარსებიდან დღემდე უნივერსიტეტში ჩარიცხულია 6895 კაცი; ამ ჟამად სტუდენტათ ირიცხება 4,196 კაცი, ამათთან 1,228 (29,26 პროც.) სამკურნალო ფაკულტეტზე 907 (21,62 პროც.) აგრონომიულ ფაკულტეტზე, დანარჩენ ფაკულტეტზე თვითეულზე გაცილებით უფრო ცოტა მსმენელები ითვლებიან. 4,196 კაციდან მოსწავლე ვაჟები შეადგენენ 68,8 პროც. (2,887), ქალები—31,2 პროც. (1309).

მიმდინარე წლის დასაწყისში უნივერსიტეტში ირიცხებოდა 36 პროფესორი, 19 დოცენტი, 29 ლექტორი, 83 ასისტენტი და 26 ორდინატორი.

ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტს გამოუშვია 36 სამეცნიერო გამოცემა, მათში ზოგი უცხო ენებზე. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ირიცხება წიგნი 17,135 სათაურით, 57 ათას 647 ტომი.

ჟურნალში პირველი წერილი „Impersonalia“ ეკუთვნის პროფ. დ. უზნაძეს, რომლის რეზიუმე მოყვანილია ნემეცურათაც. მეორე წერილია დოც. ს. დანელიასი: „ჭეშმარიტების გვარი“ (ეტიუდი) და შემდეგ დოცენტ გრ. ნათაძის „ჰექტომორები უძველეს საბერძნეთში“. პროფ. კორნ. კეკელიძე „ესხატოლოგიური მოტივები ძველს ქართულს მწერლობასა და ცხოვრებაში“ არკვევს იმ პირობებს, რომლის მიზეზით მე 11 და მე-12 საუკუნეში ლიტერატურული გზით შემოსულა ჩვენში „აზრები შვიდი ათასი წლის შემდეგ ქვეყნის აღსასრულის შესახებ“.

ს. გორგაძე „ნეოპლატონიური ფილოსოფიის ერთი უძველესი კვალთაგანი ქართულ მწერლობაში“ ამტკიცებს, რომ ნეოპლატონიური ფილოსოფიის ერთი უძველესი ავტორთაგანი სახელდობრ დიონისიის არეოპაგელის თხზულებანი თარგმნილი ყოფილა ქართულათ ეფრემ მცირეს მიერ და მაშინდელ ქართულ საზოგადოებაშიც საკმაოდ გავრცელებულა.

ამის შემდეგ ჟურნალში მოთავსებულია პროფ. გრ. წერეთლის „Zwei Denkmäler der griechischen Schrift in Aegypten“, ლეონ მელიქსეთბეგის. „მასალები ტფილისისა და „სომხეთის“ სიძველეთა ისტორიისათვის“, გ. ახვლედიანის „ორი ერთსახე პრეფიქსი ქართულ ზმნაში“, ა. შანიძის „ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულათ“. ვ. თ—ვ—ია „სინტაქსიური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“, ნოე ყიფიანის „გეოლოგიური შენიშვნები“ და პროფ. პ. მელიქიშვილის მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი შენიშვნა „ქიმია და ქიმიური მრეწველობა“.

შემდეგ მოთავსებულია პროფ. ა. რაზმაძის გამოკვლევა: „მრუდთა ერთი თვისების დამტკიცება და ამ თვისების გამოყენება დიფერენციალურ აღრიცხვაში“. მისივე „Sur une formule de la Moyenne“.

პროფ. ალ. ნათიშვილი „ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზრდების პრობლემა“-ში ეხება ერთ უძველეს საკითხს მეცნიერებისას და გადმოგვცემს უმთავრესად ვენის პროფესორ შტეინახის ცდებს. წერილის დასასრულში მეტად საინტერესო დასკვნებს იძლევა.

პროფ. ს. ამირეჯიბისა მოკლე წერილი „კვების საკითხის შესახებ“ მეტათ საჭირო ცნობებს შეიცავს, რომლებსაც ჩვენი დროის პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“ შეიცავს 180 გვერდს და მისი თანამშრომელი მეცნიერები სახელები თავისთავად ლაპარაკობენ მის დიდ ღირსებებზე.

სამწუხაროთ ქაღალდი, რომელზეც დაბეჭდილია ჟურნალი, ნაკლები ღირსებისაა. ჟურნალის ფასი 1 მან. ოქროთი, მისი მდიდარი შინაარსის მიხედვით, არ არის დიდი.

Z.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 92

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის სასყიდლის დაწესების შესახებ.

რათა დაფარულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალური ხარჯები, რომელსაც იგი ეწევა მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების წარმოების საქმეში და რომ სათანადოთ იქნეს დაყენებული მოქალაქობრივი მდგომარეობის ჩაწერის განყოფილების ადგილობრივ ორგანოთა მუშაობა,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სასყიდელი მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერისათვის შემდეგნაირად:

ჩაწერისათვის:

ა) დაბადებისა, ოცდახუთი კაპიკი (25 კ.) ოქროთი.

ბ) ქორწინებისა, ერთი (1) მანეთი ოქროთი.

გ) განქორწინებისა, ორი (2) მანეთი ოქროთი.

დ) გვარის შეცვლისა, ათი (10) მანეთი ოქროთი.

ე) ამონაწერის გაცემისათვის უწინდელი მეტრიკული წიგნებიდან და აგრეთვე, ამონაწერის გაცემისათვის რეგისტრაციის შემდეგ, ერთი (1) მანეთი ოქროთი.

2. ჩაწერა მოქალაქობრივი მდგომარეობის დანარჩენ აქტებისა, მაგალითად: სიკვდილისა, უკვალოდ გადაკარგულთა და ქორწინების გარეშე დაბადებისა—მოხდება უსასყიდლოდ.

3. მეტრიკული ამონაწერის გაცემა თვით რეგისტრაციის დროს სწარმოებს მარტოოდენ საღერბო და საკანცელარიო გადასახადის გარდახდევინებით საერთო საფუძველზე.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ა. სალარიძე.

1923 წ. მაისის 8.

ტფილისი—სასახლე.

ინსტრუქცია.

საქართველოს რესპუბლიკაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ აცრის შესახებ.

საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრის დროს ექიმი-ვეტერინარები ხელმძღვანელობენ შემდეგი წესით:

1. დაჭირიანებულ პუნქტებზედ აცრამდე ყველა საქონელს უნდა გაეზომოს სიცხე ტერმომეტრით და შესდგეს მოსახლეთა და მათი საქონლის კომლობრივი სია. სიის შედგენა იწყება სალი მოსახლეებიდგან, თუ საქონელი ინახება ეზოებში და ბოსლებში, ამ სალი ნახირებიდგან, თუ საქონელი საძოვრებზეა.

2. საქონლის ჭირი აშკარად დაავადებულთაგან ირჩევა რამდენიმე ვარგისი ეკზემპლიარი აცრისათვის საჭირო სისხლის ამოსაღებად.

3. გამოყოფილი აშკარად ავადმყოფი და სიცხე აწეული საქონელი აიცრება მხოლოდ ჭირის საწინააღმდეგო შრატით, თანახმად საშრატო სადგურის ჩვენებისა, ორმაგი დოზით.

4. დანარჩენი სალი საქონელი უნდა აიცრას შრატით და ჭირიანი სისხლით.

5. სოფლის ყველა მსხვილ-ფეხა რქიანი საქონელი უნდა აიცრას უკლებლივ.

შენიშვნა 1: ნაწილობრივ აცრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკმაო შრატი არ მოიპოვება და შესაძლებელია დანარჩენი საქონლის უზრუნველყოფა ჭირის გადადებისაგან.

შენიშვნა 2: თუ შრატი საკმაოდ მოიპოვება და დაავადებულ სოფელს მახლობელ სხვა სოფელთან აქვს მჭიდრო ეკონომიური კავშირი და, მაშასადამე, საშიშოა ჭირის გადატანა, უნდა მოხდეს რაიონული აცრა.

6. აცრილი საქონელი რჩება ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ და როდესაც რომელიმე აცრილს აღმოაჩნდება ნიშნები მძიმედ დაავადებისა, ფაღარათი, აპკები „[illegible]“ ღრძილებზე, ტუჩებზე და ენის ძირზედ და სხვა, მას განმეორებით მიეცემა შრატი ორმაგ დოზით.

7. თუ დაჭირიანებულ პუნქტებზე თავიდანვე შემჩნეული იქნება ჭირის გარდა საქონლის დაავადება სხვა და სხვა ეპიზოოტიებითაც მაგ.: პიროპლაზმოზით, ციმბირის ჭირი და სხვა, ადგილობრივ ჭირთან მებრძოლ აღმასრულებელ კომისიას შეუძლიან შეცვალოს აცრის მეთოდი.

8. საქონლის ჭირის საწინააღმდეგო აცრა უნდა მოხდეს კომბინაციური მეთოდით; საქონელს ჩაეშვება კან-ქვეშ ჭირიანი სისხლი 0,2—1,0 კუბიკური ცენტიმეტრი, მერე სადგურის მიერ განსაზღვრული შრატი. სისხლი უნდა მიეცეს მარცხენა ფერდში ბეჭის ქვეშ შრატი—მარჯვენაში ერთდროულად, ანდა ერთი მეორის შემდეგ, არა უგვიანეს ხუთი საათისა.

შენიშვნა: თუ ასაცრელია, მაგალითად, 100 სული საქონელი, თვითეულ მათგანს ჩაეშვება კან-ქვეშ ჯერ შრატი, მერე, სისხლი, შრატით აცრის შემდეგ საქონელი ინიშნება ფერადი საღებავით, რომ არ გამორჩეს აუცრელი: სისხლის ჩაშვების შემდეგ-კი მჭიდრო დამღით.

9. ორივე აცრა ხდება აუცილებლად კანქვეშ და უნდა ვეცადოთ ნემსი არ შეესოს კუნთს, რადგანაც ამ შემთხვევაში შრატი მეტად ძნელად იწოვება სხეულში.

10. აცრის მთელი პროცესი უნდა ხდებოდეს დიდი სიფრთხილით და სისუფთავის დაცვით.

ამცრელებმა აცრის დაწყებამდე ხელების დეზინფექცია უნდა გაიკეთონ და, გარდა ამისა, თვით აცრის წარმოების დროს ხშირად გადაიბანონ ხელებზედ კარბოლის ხსნილი. შპრიცები, ნემსები და რეზინის მილები უნდა გაიწმინდოს და გაირეცხოს კარბოლის ხსნილში. ხოლო შპრიცები, რომლებითაც სისხლს გაძლევთ კან-ქვეშ, და აგრეთვე ბირაიმე სისხლისათვის ქილა და ნემსი, საკმარისად გამოიხარშოს მხოლოდ 1—2 პროცენტიან სოდის წყალში ერთი საათის განმავლობაში; შრატით ასაცრელი შპრიცები კი და სხვა ხელსაწყო საჭიროა აცრის წინ 12 საათის განმავლობაში ჩაიწყოს 3 პროცენტიან კარბოლის სიმჟავის ხსნილში.

შრატის ასაცრელად საუკეთესოა 50 და 100 გრამიანი შპრიცები, სისხლის ასაცრელად 10—2 გრამიანი. შრატის და სისხლის ჩაშვებამდე საჭიროა გავსებულ შპრიცებიდან ჰაერის ამოშვება.

11. შრატს შერეული აქვს 0,25 - 0,5 პროცენტიანი კარბოლის სიმჟავე და წარმოადგენს სრულიად უვნებელ სითხეს, რომელშიაც არ მოიპოვება არც ბაქტერია, არც სხვა ჭუჭყი. იგი ოდნავ შემღვრეულია, მოყვითალო, ან ოდნავ მოწითალო ფერისა და მოსჩანს შიგ მოცურავე აბლაბუდის მაგვარი ნივთიერება—ეს სისხლის შედედებული ცილოვანი ნივთიერებაა.

შრატის ჭურჭელზედ აღნიშნულია დოზა სალ საქონლისათვის და აგრეთვე თარიღი შრატის დამზადებისა და მის გამოცდისა.

შრატი უნდა ინახებოდეს ბნელ და გრილ ალაგას.

12. შრატით სავსე ბოთლები უნდა ხმარების წინ გაიწმინდოს, გაეცალოს მტვერი და გაივლოს კარბოლის სითხეში. შრატის ბოთლები ხმარების დროს არ უნდა შეინჯღრას, რადგანაც შეიძლება ლექი გაიკეთოს აცრის დროს ნემსებში და შეაჩეროს მუშაობა. ბოთლებში დარჩენილი დალექილი შრატი ხმარების წინ სჯობია გაიწუროს ორად მოკეცილ კარბოლიან დოლბანდში.

გახსნილ ბოთლებს პირზედ უნდა წაეფაროს კარბოლიანი ბამბა, რომ მტვერი არ ჩავიდეს; ბოთლებიდან შრატი ამოიღება რეზინის მილების საშუალებით, რომლის ერთი წვერი წამოცმული აქვს შპრიცის წვერს, მეორე წვერი კი ჩაშვებულია ბოთლში.

13. შრატით აცრის წარმოების დროს საჭიროა როგორც ნემსების, აგრეთვე შპრიცის ხშირი ამოვლება კარბოლის ხსნილში.

14. შრატის კან-ქვეშ ჩაშვება ხანდისხან იწვევს ადგილობრივად სიმსივნეს, რომელიც ჩქარა ცხრება.

15. აცრისთვის საჭიროა ჭირიანი სისხლი, რომელიც გამოეშვება ჭირიან საქონელს იმ დროს, როდესაც დაავადება მას უმაღლეს წერტილამდე აქვს განვითარებული, დაახლოვებით მესამე დღეს ჭირის აშკარად შემჩნევიდგან, სიცხე 40 გრადუსი და მეტი.

16. აცრისთვის საჭირო სისხლი უნდა გამოუშვათ იმისთანა ავადმყოფ საქონელს, რომელიც ჭირის გარდა დაავადებული არ არის სხვა გადამდებ სენით, თურქულით, ფილტვების ანთებით, ჯილეხით, პიროპლაზმოზით და სხვა, ამიტომ აუცილებლად საჭიროა სისხლის გამოშვების შემდეგ საქონელი დაიკლას და გაიშინჯოს მისი შიგნეულობა.

17. სისხლის გამოშვება ხდება კისრიდგან ამ გვარად: უნდა მოიპარსოს, ან გაიკრიჭოს ბალანი იმ ალაგას, საცაა საუღლე ვენა, მერე ეს ალაგი გაიბანოს საპნით და კარბოლის ხსნილით; სისხლის გამოსაშვები ნემსი ზედ-წამოცმულ რეზინის მილით შეეყვას ვენაში წვერით თავისკენ, ქვეშ შეედგას ჭურჭელი, საუკეთესოა შუშის ქილა, რაშიაც გროვდება სისხლი; ამავე დროს ეს სისხლი უნდა ითქვიფოს შუშის ჯოხით, რომ ფიბრინი გამოეცალოს, რის შემდეგაც გათქვეფილი სისხლი იწურება სუფთა დოლბანდში. პირველი პორცია გამოშვებულ სისხლისა უნდა დაიღვაროს.

ფიბრინ გამოცლილი და დოლბანდში გაწურული ჭირიანი სისხლი ჩაისხმება პატარა შუშის ჭურჭლებში, საიდანაც პირდაპირ ვავსებთ შპრიცებს და ვცრით საქონელს.

18. ჭირიანი სისხლი თავის თვისებებს არ ჰკარგავს 48 საათის განმავლობაში, თუ, რასაკვირველია, მის გამოშვების და გადაღების დროს იქმნა მკაცრად დაცული სისუფთავე და აგრეთვე, თუ მას შევინახავთ ბნელს და გრილს ალაგას. სიცხიან დღეებში შეიძლება მისი შენახვა მხოლოდ 24 საათი—ყინულზე, ცივ წყალში ან ორმოში.

19. ხმარების წინ ჭირიანი სისხლი კარგად უნდა იქმნას შენჯღრეული ბოთლში.

20. ყოველ შპრიცის დახმარების შემდეგ და ხელ-ახლა მის ავსების წინ ასაცრელი ნემსი იწმინდება სუფთა ბამბით ან ნადუღი წყლით. ამ შემთხვევაში სადეზინფექციო სითხეების ხმარება არაა სასურველი, რადგანაც შესაძლებელია ჭირიან სისხლის დასუსტება და სრულიად გაუვარგისება.

21. აცრის შემდეგ ერთ ნაწილს აცრილ საქონლისას სულ არ აჩნდება ჭირი, მეორე ნაწილი სუსტად ხდილობს, ამათ ემჩნევათ ოდნავ სიცხე და მოწყენილობა, ხოლო მესამე ნაწილი აშკარად ხდება ავად ჭირით და ზოგი-ერთები იხოცებიან კიდევაც.

22. ამ ჩამოთვლილ დარიგების გარდა, აუცილებლად ვიხელმძღვანელოთ დოზების შესახებ იმ სადგურის დარიგებით; რომლის მომზადებულ შრატით ვაწარმოებთ აცრას.

23. დაჭირიანებულ პუნქტებზედ, სადაც სწარმოებს აცრა, როგორც ჭირის მოსასპობი ზომა ძალაში რჩება ყველა სხვა ჭირის საწინააღმდეგო ზომები, კანონით ან სავალდებულო დადგენილებებით დაწესებული: კარანტინი, საქონლის და მის დამუშავებულ ნედლი მასალის გატანის აკრძალვა და სხვა.

24. სოფლები ან საძოვრები და სხვა, სადაც ჭირის საწინააღმდეგო აცრა მოხდა, განთავისუფლდებიან კარანტინისაგან 14 დღის შემდეგ—რეაქციის გათავებიდგან, ან უკანასკნელათ ჭირით დაავადებულ საქონლის სიკვდილიდგან.

25. ექიმი-ვეტერინარები მოვალენი არიან წარმოუდგინონ მიღებულ ფორმებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას ცნობები აცრის წარმობის, საქონლის ჭირის მიმდინარეობის და საზოგადოდ ეპიზოოტიათა მსვლელობის შესახებ.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი გ. კანდელაკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომლებიც მიემგზავრებიან ტფილისის მაზრაში რაიონების დასათვალიერებლად გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში, სადაც შაბათს 12 მაისს საღამოს 5 საათზე გაიმართება თათბირი.

ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მაგიერ: ი. ჯანელიძე.

— სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო წინადადებას აძლევს საინჟინერო ფაკულტეტების სტუდენტებს—კომუნისტებს და ახალგაზრდობის კომკავშირის წევრებს—პარტიული დისციპლინის ძალით გამოცხადდენ ფრაქციის საგანგებო საერთო კრებაზე, რომელიც შესდგება შაბათს 12 მაისს, საღამოს სრულ 7 საათზე საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში.

ვინც არ გამოცხადდება, მიეცემა პარტიულ პასუხისგებაში.

ფრაქციის მდივნის მაგიერ: ვულფოვიჩი.

საქართველოს კომუნალურ მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა ამით აცხადებს, რომ ორშაბათისათვის ა. წ. 14 მაისისათვის, დღის 1 საათზე 26 კომუნარის სახელობის კლუბში (მადათოვის კუნძული № 6) დანიშნულია კომუნალურ მუშაკთა კავშირის ყველა უმუშევარ წევრების საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) უმუშევართაგან არტელის ორგანიზაციის საკითხი.

2) მიმდინარე საქმეები.

ყველა უმუშევართა დასწრება, პროფესიულ დისციპლინის წესით, სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმის სხდომა, რომელიც დანიშნული იყო ხუთშაბათს 10 მაისისათვის ტრანსპორტელ მუშათა ახალგაზრდობის კონფერენციის გახსნის გამო, გადატანილია შაბათს 12 მაისისათვის საღამოს 5 საათზე საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში.

— შაბათს, 12 მაისს, დღის 1 საათზე (ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის) მე-4-ე რაიონის პარტიულ სკოლის შენობაში მოწვეულია მე-4-ე რაიონის ყველა მუშათა კლუბების გამგეობათა და კლუბის მუშაკთა თათბირი. დღის წესრიგშია საკითხი პროფკავშირთა საბჭოს ცენტრალურ კლუბში და ადგილობრივ კლუბებში საკლუბო მუშაობის დაყენების შესახებ.

მოწვეული არიან: პროფკავშირთა საბჭოს კულტურული განყოფილება, მბეჭდავების, გემო-კვების, სახალხო დამოკიდებულების კავშირების კულტურული განყოფილებანი, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკის ბიურო, ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ყველა იმ იაჩეიკების მდივნები, რომელთა დაწესებულებებში მოიპოება კლუბები.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუსტანოვი.

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ კვირას, 13 მაისს, საღამოს 4 საათზე, პოლონელ მუშების კლუბში (ნიკოლოზის ქ. № 59) კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის პოლონელ წევრების მორიგი კრება. დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლომიძე.

ინსტრუქტორ ორგანიზატორი: გუსტირ-სტუპნიცკი.

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ნუსხა.

1. კვირას 13 მაისს, დილის 11—1 საათ. ამ.-კავკ. საგანგებო კომისიის წრე ხელმძღვანელი ამხ. ლიბახი.
2. კვირას 13 მაისს, დილის 11—1 საათ. სახელმწიფო უნივერსიტეტის წრე. ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა.
3. ორშაბათს 14 მაისს, საღამოს 9—11 ს. სახელმწიფო პოლიტეხნიკუმის წრე. ხელმძღვანელი ამხ. ლიბახი.
4. სამშაბათს 15 მაისს და შაბათს 19 მაისს, საღ. 5—7 ს. ს. თბილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების რაზმის წრე. ხელმძღვანელი ამხ. გალკინი.
5. ორშაბათს 14 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე. „სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის“ წრე. ხელმძღვანელი ამხ. პენიაკოვი.
5. სამშაბათს 15 მაისს, საღ. 6—8 ს.ს. მბეჭდავების წრე. ხელმძღვანელი ამხ. მედვედევი.

განცხადებები

ღრმათ დამწუხრებული ჭირისუფალნი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ 7 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალექსანდრა (საშა) პეტრეს ასული
წულეისკირი-ლოსაბერიძისა

დასაფლავება მოხდება 12 მაისს. ქ. ქუთაისი ფოსტა-ტელეგრაფის ქუჩა გაიდამაშჩუკის სახლი. 662 1—1

ჩვენ, თბილისის დეპოს მუშები და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ყველა ამხანაგებს და ნაცნობებს რომ 8 მაისს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დეპოს საწყობის გამგე და უძვირფასესი ამხანაგი

მიხეილ (მიშა) ნემსაძე

დაკრძალვა კვირას ვერის სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ სახლიდან 12 საათზე. (ნაწყრის ქ. № 6). 660 1—1

საბჭოთა მუშა-მოსამსახურეთა კავშირის სეკრეტარიატი იუწყება, რომ

დელეგატთა კონფერენცია,
სრულიად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ყრილობისათვის

წევრების ასარჩევად, დანიშნულია 12 მაისს, საღამოს 6 საათზე პროფესიონალურ საბჭოს პატარა დარბაზში. ადგილობრივ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ ზემოხსენებული აცნობონ დელეგატებს.

კომუნისტი დელეგატებიც უნდა გამოცხადდნენ იმავე დარბაზში 12 მაისს, საღამოს 5 საათისათვის, ფრაქციის თათბირზე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქმეთა სამმართველოსაგან.

შინამრეწველთა და ხელოსანთა აღრიცხვის დროებითი შეჩერების შესახებ.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილების თანახმად (ამ წლის 17 აპრილის თარიღითა და № 25) წარმოებული აღრიცხვა შინამრეწველებისა და ხელოსნებისა, ეხლა წარმოებულ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სახელმწიფო აღრიცხვის გამო

შეჩერებულია 20 მაისამდე.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველი **ხეიმონიშვილი.**

განცხადებები

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

სახელმწიფო აღმშენებლობის კანტორა (Госстрой) აცნობებს ყველა სახკომების საალმშენებლო განყოფილებებს, თბილისის აღმასკომს, სამაზრო აღმასკომებს და კოოპერატიულ-საალმშენებლო ორგანიზაციებს, რომ **სახელმწიფო აღმშენებლობის** (Госстрой) **კანტორა** იღებს თავის თავზე ყოველგვარ საალმშენებლო სამუშაოს როგორც თბილისში, ისე მთელ რესპუბლიკაში.

სახელმწიფო აღმშენებლობის კანტორის განყოფილებები არსებობენ ქუთაისში, ბათომში, ფოთში, გორში და ახალ-სენაკში.

სახელმწიფო აღმშენებლობის კანტორის განკარგულებაში არის საკუთარი საალმშენებლო მასალები და მუშა ხელი.

სახელ. აღმშენ. კონტორის გამგე ინჟ. **დ. გ. ჩისლიევი**

მისამართი: სერგიევის ქ. № 8, ტელეფ. 6—56.

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის და ტრანსპორტის მუშათა კავშირის დადგენილების თანახმად,

ყველა ავტომობილების მართველმა შოფერებმა ქალ. ტფილისში უნდა ჩააბარონ გამოცდები ამ საგანზე სპეციალურად დანიშნულ კომისიაში. ამის გამო ყველა შოფერები, გარდა სამხედრო შოფერებისა, ვალდებულნი არიან ორი კვირის ვადაში შეიტანონ ექიმის მოწმობა და ორი ფოტოგრაფიული სურათი და ასეთები წარმოადგინონ პირადობის მოწმობასთან ერთად ტფილისის აღმასკომში ოთახი № 4, არა უგვიანეს მიმდინარე მაისის 25 რიცხვისა.

ის პირები, რომლებიც არ ჩააბარებენ გამოცდებს ავტომობილებზე სამუშაოდ არ იქნებიან დაშვებულნი: გამოცდები პირველ რიგში მოხდება შრომის ბირჟის აღრიცხვაზე მყოფ შოფერებისა, ხოლო ყველა დანარჩენები ავტომობილებზე მომუშავენი გამოიცდებიან მეორე რიგში და მათი გამოცდის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე.

კომისიის თავმჯდომარე **ჩირგაძე.**

კრ. 383 3—1

ამით ცხადდება საყოველთაო

საყურადღებოდ,

რომ **აღმასკომის საფინანსო განყოფილების** მიერ იჯარით იცემა ერთი წლის ვადით შემდეგი ბაღ-რესტორანები „არტო“, „სოლეი“ და „ზვეზდა“ პლეხანოვის პროსპ., „კრუჟოკი“ კირკის ქუჩაზე და „უნიონი“ სოლოლაკის ქუჩა. პირობების გაგება შეიძლება საფინანსო განყოფილების მდივანთან ამხ. ქიქოძესთან ოთახი № 14.

(კრ. 381—3—2) საფინანსო განყოფილების გამგე—გ. ფიალკოვსკი.

ქალაქის დარაბების მოქირავეები,

რომელნიც დაკეტენ დარაბებს, საწყობებს, სარდაფებს ან სხვა გვარ სავაჭრო სამრეწველო კანტორებს და დაწესებულებებს, ვალდებულნი არიან ანგარიში გაასწორონ საფინანსო განყოფილების საიჯარო სექციაში, სადაც უნდა წარმოადგინონ ქირის გადასახადის ქვითარები, ორდერები და გასაღებები. დარაბებიდან აღმასკომის ინვენტარის გატანა სასტიკად აკრძალულია.

კრ. 380 4—3 **საფინანსო განყოფილების გამგე.**

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო აწარმოებს **ექ. სვიმონ ჯაფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, კურდიანოვის ქ. № 20. (501—25—24

დაჰკარგე უმუშევრობის ბილეთი, გაცემული შრომის ბირჟიდან ვარლამ სიმონაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაჰკარგე პასპორტი, გაცემული ტფილისში ხაჩატურ ტერ-არუტიუნოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაჰკარგე პასპორტი, გაცემული წალკის რაიონის მიერ მიხეილ ივანოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაჰკარგე პასპორტი, გაცემული ქალაქის მილიციის მიერ ნადეჟდა კუზნეცოვის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

დაჰკარგე დროებითი პარტიული ბილეთი № 838 ჩაითვალოს გაუქმებულად. იაგორ მარკოზის ძე კალანდაძე. 657 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 1247 და მეტრიკული ამონაწერი. გრიგოლ დიმიტრის ძე ცაცავაშვილი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 656 1—1

დაჰკარგე უცხო პასპორტი ანა ამირხანოვას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ 661 1—1

დაჰკარგე მეტრიკული № 953 მოწმობული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამკურნალო ფაკულტეტის I კურსის სტუდ. ნადეჟდა ელიზბარის ასულის ვადაჭკორიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 655 1—1

[illegible]